საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 2 სექტემბერი, 2015 წელი.

№163 (7808)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჯებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

თავიანთი გადასახდელი მილიარდები ბანკებმა მთავრობის დახმარებით უნდა ამოიღონ ჩვენი ჯიბიდან?!

6

4

„თუ რუსული აგრესია განმეორდება, ნატო ძალიან სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს“

ვნახოთ, რას ჩამოგვიტანს უსუფაშვილი ამერიკიდან...

საგანგაშო სტატისტიკა

400 ათასიდან სამუშაოს მხოლოდ 4 700 ეძებს?!.

2

რატომ ილუპება წელიწადში სამუშაო ადგილებზე 39 დასაქმებული?!.

დოლართან მიმართებაში ლარის სტაბილიზაციის მიდამო 2.15-2.0 ლარის ფარგლებში უნდა იყოს

3

ეკონომიკურ კავშირებზე საკუთარ ელჩებთან იმუშავეთ და არა სხვა ქვეყნების ელჩებთანო

8

აფხაზმა დეპუტატებმა რუსეთის კრიტიკას მოუხშირეს...

5

ძლიერი სოფელი – ძლიერი ქვეყანა

კახეთში ყურძნის ჭარბ მოსავალს ელოდებიან

3

იწყება პროგრამის „დანერგე მომავალი“ ახალი ეტაპი

რაც სრულიად საიდუმლოდ ხდებოდა...

7

რომელი თაფლია უფრო მარგებელი?

11

◎ კადრები

მინისტრების ცვლას საქმის უკეთესობისკენ სვლა უნდა მოჰყვეს...

საძართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს გიორგი კვირიკაშვილი იკავებს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად დიმიტრი ქუმსიშვილი ინიშნება. სამთავრობო ცვლილებების შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, მინისტრთა კაბინეტში განხორციელებული ცვლილებები კიდევ უფრო გაზრდის მთავრობის ეფექტიანობას.

„საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს დაიკავებს ბატონი გიორგი კვირიკაშვილი. ის კვლავაც იქნება ჩვენი მთავრობის ვიცე-პრემიერი. თქვენ იცით, რომ მთავრობა კონცენტრირებულია ისეთ ეკონომიკურ განვითარებაზე, რომელიც ქმნის სამუშაო ადგილებს და სარგებელი მოაქვს საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის. სწორედ ეს მიზანი განსაზღვრავს ჩვენს საგარეო პოლიტიკას და შიდაეკონომიკურ დღის წესრიგს. ამ ორი სფეროს კონსოლიდაცია ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია. მიმაჩნია, რომ ბატონი გიორგი კვირიკაშვილი იქნება ძალიან კარგი საგარეო საქმეთა მინისტრი. მისი ცოდნა და გამოცდილება დაგვეხმარება ისეთი საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, რომელიც კიდევ უფრო მჭიდრო კავშირში იქნება ჩვენს ეკონომიკურ პრიორიტეტებთან.... ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პოსტზე წარმოგიდგენთ ბატონი დიმიტრი ქუმსიშვილის კანდიდატურას. თქვენ იცით, რომ ბატონ დიმიტრის აქვს როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორის მართვის სერიოზული გამოცდილება. იგი მუშაობდა ეკონომიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობებზე. ამჟამად კი იკავებდა თბილისის ვიცე-მერის პოსტს და მაღალი ეფექტურობით გამოირჩეოდა. მასაც აქვს სერიოზული ცოდნა და გამოცდილება ეკონომიკური განვითარების, ინვესტიციების წახალისებისა და მმართველობის სფეროებში გააძლიერებს მთავრობის მუშაობას," — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მანვე მადლობა გადაუხადა თამარ ბერუჩაშვილს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე გაწეული მუშაობისთვის და გიორგი კვირიკაშვილს დაავალა, გადაწყვიტოს, თუ სად გააგრძელებს მუშაობას ყოფილი მინისტრი.

2 სექტემბერს ირაკლი ღარიბაშვილი საგარეო საქმეთა ახალ მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს ამბასადორიალის ფარგლებში ელჩებს წარუდგენს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

ვნახოთ, რას ჩამოგვიტანს უსუფაშვილი ამერიკიდან...

დავით უსუფაშვილმა, რომელიც ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში, საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მიერ ორგანიზებულ პარლამენტის სპიკერების მე-4 მსოფლიო კონფერენციაში მონაწილეობს, ორმხრივი სამუშაო შეხვედრები გამართა კუბის რესპუბლიკის პარლამენტის ვიცე-სპიკერთან, ანა მარია მაჩადოსთან, მალდივის რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერთან, აბდულა მასეჰ მუჰამედთან და უგანდის პარლამენტის სპიკერთან, რებეკა კადაგასთან.

კუბის რესპუბლიკის პარლამენტის პრეზიდენთან, ანა მარია მაჩადოსთან ორმხრივ შეხვედრაზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ „მსგავსი საპარლამენტო ფორუმები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ არსებული ურთიერთობების გაღრმავების, არამედ კოლეგებთან ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობის თვალსაზრისითაც" და კუბის რესპუბლიკის პარლამენტთან აქტიური თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა. თავის მხრივ, ანა მარია მაჩადომ აღნიშნა: „ჩემი აზრით, ჩვენ ადვილად ვიპოვით საერთოს, რადგან საპარლამენტო პრიორიტეტების თვალსაზრისით ჩვენი ხედვები ემთხვევა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პატივი ვცეთ საერთაშორისო სამართლის ნორმებს და ერთმანეთის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას."

ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობის მზაობას შეეხო საუბარი ასევე დავით უსუფაშვილისა და მალდივის რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერის, აბდულა მასეჰ მუჰამედის შეხვედრისას. მხარეებმა გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზეც ისაუბრეს. აბდულა მასეჰ მუჰამედმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის გამოცდილება ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ ძალზედ მდიდარია, შესაბამისად, მალდივის რესპუბლიკის მთავრობა მზად არის, ქართველ კოლეგებს საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს.

თუ ახალი კადრები გვიშველიან, მეტი მოიძიეთ, თქვე კარგო ხალხო!..

„გიორგი კვირიკაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად გადასვლით, შენარჩუნდება და გაგრძელდება ქვეყნის საგარეო პრიორიტეტები. მისი საგარეო მინისტრად ყოფნა ასევე გააძლიერებს ეკონომიკურ მიმართულებას, რაც ქვეყანას ძალიან სჭირდება. ამიტომ შეიძლება ეს ორი კურდღლის დაჭერის მცდელობად შევაფასოთ. რაც შეეხება დიმიტრი ქუმსიშვილს, ის ძალიან ენერგიული ახალგაზრდაა, რომელმაც თავი გამოავლინა ეკონომიკის მინისტრის მოადგილის პოსტზეც და ასევე ვიცე-მერის თანამდებობაზე. მან დაკისრებული ვალდებულებების შესრულება შეძლო. ის ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს კიდევ უფრო გააძლიერებს", — მიიჩნევს ირაკლი სესიაშვილი.

◎ საგანგაშო სტატისტიკა

400 ათასიდან სამუშაოს მხოლოდ 4 700 ეძებს?!..

გადაჭარბებული ნათქვამი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რაოდენობა გაორმაგდა. ფაქტობრივად, დღე არ გავა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური სტატუსისა და შემწეობის მისაღებად მოქალაქეებმა არ მიმართონ. ზუსტი მონაცემი ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველთა რაოდენობის შესახებ არ არსებობს. როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოში განმარტავენ, ეს რიცხვი ყოველდღიურად მერყეობს, რადგან სოციალურად დაუცველების ხელახალი რეგისტრაცია მიმდინარეობს. შესაბამისად, სრული სურათი მოგვიანებით გახდება ცნობილი.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოში დაახლოებით 400 ათასამდე სოციალურად დაუცველია. სოციალური ფონის გასაუმჯობესებლად და საზოგადოების ამ ნაწილის გასააქტიურებლად, ჯანდაცვის სამინისტრომ წელიწად-ნახევრის წინ ახალი სოციალური პროექტი წამოიწყო — worknet.ge და ის ნებისმიერ მოქალაქეს სამუშაოს ძებნის საშუალებას აძლევს. ძირითადი სამიზნე ჯგუფი კი, სოციალურად დაუცველები არიან. თუმცა, bpn-თან საუბარისას დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეა სტურუა იმედგაცრუებას არ მალავს და ამბობს, რომ სოციალურად დაუცველები არათუ შეთავაზებულ სამუშაოზე, არამედ სამუშაოს მაძიებლად დარეგისტრირებაზეც კი უარს ამბობენ. ძირითადი მიზეზი დაბალანაზღაურებადი სამუშაო და შემწეობის დაკარგვის შიშია. გასული კვირის მონაცემებით, სახელმწიფო დასაქმების საიტზე 45 283 სამუშაოს მაძიებელია დარეგისტრირებული. აქედან, სოციალურად დაუცველია 4 700. იმ ფონზე, როცა ქვეყანაში სოციალურად დაუცველთა რიცხვი 400 ათასს აჭარბებს, ეს რიცხვი მართლაც ზღვაში წვეთია.

კიდევ ერთი პრობლემა, რაზეც თეა სტურუა საუბრობს, აღურიცხავი დასაქმებაა. სოციალურად დაუცველთა ნაწილი დასაქმებულია, თუმცა მათი ხელფასი ოფიციალურად არსად არ აღირიცხება. სამუშაოს პარალელურად ისინი შემწეობასაც იღებენ. „ფაქტობრივად, ქვეყნის შიგნით არალეგალური დასაქმება გვაქვს. არის შემთხვევები, როცა დამსაქმებლებიც უხდიან ხელფასს დასაქმებულს და ის ამავე დროს შესაძლოა სოციალურ შემწეობასაც იღებდეს. გადასახადების გადამხდელები, ვინც ბიუჯეტს ავსებს, ასეთ ადამიანებს ინახავს. ჩვენმა მოსახლეობამ ერთი რამ ვერ შეიგნო, რომ ეს არ არის უმუშევრობის შემწეობა, რომ მუშაობის დაწყებისთანავე შეუწყვიტონ. დამერწმუნეთ, ძალიან ბევრი სოციალურად დაუცველი მუშაობს, ვინც პარალელურად შემწეობასაც იღებს, რადგან ოჯახის ერთი ან ორი წევრის შემოსავალი ოჯახის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ვინც დასაქმდება, შემწეობა ავტომატურად არ მოეხსნება," — ამბობს სტურუა.

სალომე გოგოხია

რაჭომ იღუპება წელიწადში სამუშაო ადგილებზე 39 დასაქმებული?!..

სამუშაო ადგილებზე დაშავებულთა და გარდაცვლილთა საქართველოში არსებულ სავალალო სტატისტიკასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა, რომელშიც საქართველოში სტუმრად მყოფი, საერთაშორისო პროფკავშირის Industriall Global Union-ის გენერალური მდივანი იურკი რაინა (Jyrki Raina), გენერალური მდივნის თანაშემწე ქემალ ოზკანი (Kemal Ozkan) და საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტი თამაზ დოლაბერიძე მონაწილეობდნენ.

გაერთიანებული პროფკავშირების ინფორმაციით, ბოლო 8 წლის განმავლობაში საშუალო სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით სამუშაო ადგილებზე წელიწადში 39 დასაქმებული იღუპება, ხოლო 70 დასაქმებული კი მაღალი და საშუალო სიმძიმის ტრავმებს ღებულობს.

„საერთო მაჩვენებლის 30 % (13 გარდაცვალება; 21 ტრავმა), სწორედ იმ ეკონომიკურ სექტორებზე მოდის, რომელთა პროფკავშირებიც საქართველოში Industriall Global Union-ის წევრები არიან. კერძოდ: საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირი, ენერგეტიკის მუშაკთა პროფესიული კავშირი და ნავთობისა და გაზის მუშაკთა პროფესიული კავშირი. Industriall Global Union-ი იძულებულია, აღნიშნოს, რომ საქართველოს მიერ არ არის რატიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სფეროში მოქმედი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის არც ერთი კონვენცია.

მათივე თქმით, Industriall Global Union-ი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, მძიმე მრეწველობის სექტორში დასაქმებული საკუთარი მოქალაქეების დაცვის მიზნით, რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს ზემოთ აღნიშნული კონვენციების რატიფიცირება.

„აუცილებლად უნდა შევეხოთ კაზრეთში მიმდინარე პროცესებს, სადაც 1000-მდე ადამიანის კონსტიტუციური, ფუნდამენტური უფლება შეილახა, სადაც კომპანია RMG-ის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად მოხდა ადამიანებზე ზეწოლა და მათი პროფკავშირული ნიშნით მუქარა, დევნა და იძულება მათ მიერ პროფკავშირის რიგების დატოვების მიზნით. ამის შესახებ პროფკავშირებს საკმარისზე მეტი დოკუმენტური მასალები აქვს გადაგზავნილი პროკურატურისთვის, თუმცა, მათი მხრიდან არ არსებობს არანაირი ინფორმაცია ძიების ან კვლევის მიმდინარეობის შესახებ", — განაცხადეს პროფკავშირების გაერთიანებაში.

მათივე თქმით, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, Industriall Global Union-ი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, რომ კომპანია RMG-ს ქმედებებს მიეცეს შესაბამისი მკაცრი შეფასება, რათა მომავალში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა შელახვის ფაქტები თავიდან იყოს აცილებული. ეს ფაქტები თავის მხრივ, საფრთხეს უქმნის ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსა და რეპუტაციას.

იწყება პროგრამა „დანერგე მომავალი“ ახალი ეტაპი

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ ჩასართველად განცხადებების მიღების მეორე ეტაპს იწყებს. პროგრამაში მოსახლეობის ჩართვის სტიმულირების მიზნით მთავრობამ პროგრამის დიზაინში შეტანილი ცვლილებები დაამტკიცა.

მრავალწლოვანი ბაღების კომპონენტში საქართველოს ყველა რეგიონში 5 ჰექტარის ნაცვლად მიწის მინიმალური ფართობი 1 ჰექტარით განისაზღვრა. ახალი დადგენილებით, ბენეფიციარს შესაძლებლობა ექნება, რამდენჯერმე ისარგებლოს პროგრამით, თუმცა დაფინანსება, ჯამში, 100 000 ლარს, ხოლო გაშენებული ბაღის ფართობი 20 ჰექტარს არ უნდა აღემატებოდეს.

ამ ცვლილებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქვეყანაში მიწის ფრაგმენტაციის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საკმაოდ ძნელი გახდა 5-ჰექტრიანი ფერმერის მოძებნა, რომელიც პროგრამის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა.

არსებული ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამაში „დანერგე მომავალი“ I ეტაპზე სულ 14 განაცხადი დაამტკიცა. პროგრამის ფარგლებში 89,63 ჰექტარზე, ჯამში, 575 889 ლარის დაფინანსებაა გაცემული.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამის „დანერგე მომავალი“ განხორციელება თებერვლის ბოლოდან დაიწყო. მისი მიზანია საქართველოს ყველა რეგიონში მრავალწლოვანი ინტენსიური ბაღების გაშენება და თანამედროვე ტიპის სანერგე მეურნეობების მოწყობა.

რეგიონებს ინტენსიური ბაღების გასაშენებლად ახალი კულტურები დაემატა და დღეისათვის, პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა რეგიონის მიხედვით, შემდეგი კულტურების დაფინანსებაა გათვალისწინებული: ვაშლი, ჟოლო, მაყვალი, გარგარი, კივი, ატამი, ქლიავი, ბალი, ტყემალი, ზეთის ხილი, ხურმა, ბროწეული, კაკალი, ნუში, თხილი, მსხალი, ალუბალი, შინდი, მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, ლურჯი მოცვი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ფეიხოა.

დასავლეთ საქართველოში – კერძოდ, გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებში – თხილის კულტურის გაშენებისას მოიხსნა შეზღუდვა წვეთოვანი სარწყავი სისტემის სავალდებულო მოწყობის თაობაზე, რაც ბენეფიციარს თავისუფალი არჩევანის საშუალებას აძლევს.

იმპორტის გზით ნერგების შეძენისას 20 %-ით გაიზარდა ერთ ნერგზე დაფინანსების თანხობრივი ლიმიტი.

ახალი განკარგულებით ასევე შესაძლებელია ერთი ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მონაწილეობა.

უცვლელი დარჩა სახელმწიფო თანადაფინანსების პრინციპი: ბაღის გაშენებისას ნერგების ღირებულების 70 %-ს და წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50%-ს სააგენტო დააფინანსებს, სანერგე მეურნეობის შემთხვევაში კი დააფინანსებს მეურნეობის შექმნის ღირებულების 50 %-ს.

შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამით „დანერგე მომავალი“ სარგებლობა უფრო მეტმა ფერმერმა უნდა შეძლოს. თუ ასე არ მოხდა, საკმაოდ რთული იქნება დასახული მიზნის მიღწევა, რომელიც ასეა განსაზღვრული: **პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელებისთვის ორი წლის განმავლობაში 15 მილიონი ლარი დაიხარჯება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 1000-1200 ჰა-ზე თანამედროვე ტიპის ბაღის და 30-40 ახალი, თანამედროვე სანერგე მეურნეობის გაშენება.**

ნინო ევგენიძე

◎ რთველი – 2015

კახეთში ყურძნის ჭარბ მოსავალს ელოდებიან

სტიქიის კაპრიზების მიუხედავად, წლეულს კახეთში ყურძნის ჭარბ მოსავალს ელოდებიან. არსებული პროგნოზით, მიმდინარე წელს ყურძნის მოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი შარშანდელთან შედარებით, თითქმის 30%-ით მეტია. ქარხნები ყურძნის მიღებას მომავალი კვირიდან დაიწყებენ. სახელმწიფო კახელი გლეხების დახმარებას წელსაც ყურძნის სუბსიდიით ცდილობს. სუბსიდიის სახით, 2015 წლის რთვლის ფარგლებში 1 კილოგრამ კახურ მწვანესა და რქაწითელზე 35 თეთრი, ხოლო 1 კგ. საფერავზე 15 თეთრი გაიცემა. გავრცელებული ინფორმაციით, სუბსიდიის ჩათვლით რქაწითელი და მწვანე 70 თეთრი, ხოლო საფერავი 85 თეთრი ეღირება.

შარშან ყურძენს ღვინის 80 კომპანია იბარებდა. რთველი 21 აგვისტოს დაიწყო. კომპანიები საფერავის ჯიშის ყურძენს 1.30 თეთრად, ხოლო რქაწითელს 1 ლარად იბარებდნენ. 27 აგვისტოდან ყურძენი გაძვირდა და 1 კილოგრამი ხარისხიანი ყურძნის ფასი 2-დან 2.40 ლარამდე მერყეობდა.

წლეულს ყურძენზე ფასის კლების მიზეზად ღვინის კომპანიების ხელძღვანელები ექსპორტის შემცირებას ასახელებენ. მათი თქმით, ღვინის ექსპორტის კლება ორ უმსხვილეს ბაზარზე – რუსეთსა და უკრაინაში შემცირებულ გაყიდვებს უკავშირდება. რუსეთში ქართული ღვინის ექსპორტი 59%-ით დაეცა, უკრაინაში კი – 62%-ით.

კახელი გლეხები მოსავლის ასაღებად ემზადებიან, შეთავაზებული ფასით კი უკმაყოფილებას გამოთქვამენ. გივი ხატიაშვილი 8 ტონამდე ყურძნის მოსავალს ელოდება. ამბობს, რომ შესაწამლი ნივთიერებების გაძვირების ფონზე 1 კილოგრამი ყურძენის ფასი 1 ლარზე ნაკლები არ უნდა ღირდეს.

„ლარი გაუფასურდა და ერთი ლარიც რომ ღირდეს, მაინც წაგებაში ვართ. წლევანდელი ლარი შარშანდელ 65 თეთრს უდრის. 70 თეთრი კი საერთოდ არაფერია, ამ თანხით ხარჯების დაფარვასაც ვერ შევძლებთ. ვენახს იმდენი მოვლა სჭირდება, უმრავლესობას ბანკის ვალი გვაქვს დასაფარი. 1 ჰა-ზე ვენახის მოვლა 2 500 ლარამდე ჯდება. ასეთი ფასი გლეხის შრომის დაუფასებლობაა და მეტი არაფერი“, – აცხადებენ კახელი გლეხები.

რთვლის საორგანიზაციო შტაბი უკვე გახსნილია, სადაც ამ დროისთვის 12 კომპანიაა რეგისტრირებული. იმის გათვალისწინებით, რომ შარშან ყურძენი 80 კომპანიამ ჩაიბარა, შტაბში მსურველების რაოდენობის გაზრდას ელოდებიან. თუმცა ამბობენ, რომ წელს მოთხოვნა ნაკლებია.

თიკო გურაშვილი

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თქვენები

● აქშა! – განაცხადა „იმედის“ დირექტორმა.

● ეს ორი დღეა ტელევიზიებით გადის საინფორმაციო რგოლი შეშის დროულად დაბინავების თაობაზე.

ნახვის მერე ვერ მივიღე ვერანაირი ინფორმაცია, თუ სად უნდა მივიდეს სოფლის მცხოვრები შეშის მოჭრის უფლების მისაღებად და რა პროცედურები უნდა გაიაროს. სამაგიეროდ რგოლიდან „შევიტყე“, რომ ქართველი გლეხი არის ზარმაცი, მთელს ზაფხულს მხართეძოზე წოლაში ატარებს და როგორც ყველა „დღემეხვალიეს, მასაც თოვლი მოადგება კარს“.

საინტერესოა ვინ დაწერა ამ რგოლის სცენარი, რა თანხა დაჯდა ამ რგოლის გადაღება და ხელისუფლებაში ვინ ჩათვალა, რომ ეს სისულელე ძალიან მაგარია?

არა რა, მაგარი იდიოტური პიარია ამ ქვეყანაში!!!

● ძალიან მაგარი რაღაც მოხდა და შეფასებები აბსოლუტურად უცნაურია.

დაიხურა პოლიტიკური გადაცემა იმ მიზეზით, რომ არხი არ აპირებს პოლიტიკური გადაცემების გაშვებას.

სრული უაზრობაა როგორც ფინანსური, ისე მორალური თვალსაზრისით. რა შეფასებებიც ვნახე, ყველა მხოლოდ ინგა გრიგოლიას და მის გადაცემას ეხებოდა. იყო ლანძღვა, იყო ქება, იყო სურვილი, რომ ინგა დაბრუნდეს დ.ა.შ.

არადა არავინ (ყოველ შემთხვევაში მე ვერ ვნახე) არ თქვა მთავარი მიზეზი: თუ რატომ თქვა უარი ტელე-რადიო კომპანია „იმედმა“ ახალ სეზონში პოლიტიკურ გადაცემებზე.

უბრალოდ ვიტყვი, რომ „იმედის“ მიერ პოლიტიკურ გადაცემებზე უარის თქმა ნიშნავს, რომ მთელი საინფორმაციო სივრცე „რუსთავი-2“-ს და ფაქტობრივად ნაცებს დაეთმო.

ეს არანაირად არ შედიოდა ხელისუფლების ინტერესებში (თუ მას არ სურს ნაცებისთვის ძალაუფლების გადაბარება).

● ოცნებამ ისევ ვიღაც რესპუბლიკელი ქალი, თამარ ხიდაშელი დაუყენა ირმა ინაშვილს საგარეჯოში საპირწონედ, სად პოულობენ ამდენ ხიდაშელებს, ვერ ვიგებ.

რესპი კორძაია ხომ კარგი აირჩიეს ნაძალადევველებმა, ცალსქესიანი ქორწინება რომ უნდა, ახლა საგარეჯოელებიც ნაძალადევველები ნაზები თუ აღმოჩდნენ, აღარ ყოფილა საშველი!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ინფორმაცია

დოლართან მიმართებაში ლარის სტაბილიზაციის მიდამო 2.15-2.0 ლარის ფარგლებში უნდა იყოს

„თუ რეფინანსირებასთან დაკავშირებით პრობლემები გადაწყდა, მოგვარდა და შეწყდა ის ობსტრუქცია, რომელიც მიმდინარეობს, ლარის კურსის სტაბილიზაციის მიდამო 2.10-ის, 2.15-ის 2 ლარის ფარგლებში უნდა იყოს, თუმცა ძნელია ამ დიაპაზონის დაფიქსირება, რადგან ფინანსური სტაბილურობის ანგარიში არ გვაქვს. ის სამუშაოები, რომელიც უნდა ჩაეტარებინა, ის სტატისტიკა, რომელიც უნდა გამოექვეყნებინა, საიდანაც აზრს გამოვიტანდით და ვიმსჯელებდით, ეს მონაცემები ეროვნულ ბანკს შექმნილი არ აქვს. სწორედ ამიტომაც ასეთ დიაპაზონზე შეგვიძლია ახლა ვიმსჯელოთ, მაგრამ ნამდვილად არ შეიძლება და რა უნდა იყოს იმ ნიშნულზე, რომელიც დღეს არის. ეს არ არის ეკონომიკიდან გამოწვეული გაუარესება. ეკონომიკა უმჯობესდებოდეს იმ თვალსაზრისით, რასაც სავალუტო შემოდინებები ჰქვია, ვგულისხმობ მიმდინარე ანგარიშის ბალანსს, რომელიც გაუმჯობესებულია და ამ დროს ლარის კურსი უარესდებოდეს, ნიშნავს, რომ ეს არის ეროვნული ბანკის დაგვიანებული მოქმედების, მისი უმოქმედობის, ნაკლები ანგარიშვალდებულების, ამ საკითხის მიმართ ნაკლები პასუხისმგებლობით მოკიდების შედეგი“, – განაცხადა საზოგადოება „20/30“-ის წევრმა დუნდუამ.

მიხეილ დუნდუა მიიჩნევს, რომ უნდა გამოქვეყნდეს ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, შეიქმნას შესაბამისი კომიტეტი თუ განყოფილება, რომელიც წარმოადგენს დებულებას, ჩაატარებს სხდომას და გამოიტანს გადაწყვეტილებას.

ინტერპრესი

◎ ვინ ვის?

„თუ რუსული აგრესია განმეორდება, ნატო ძალიან სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს“

„ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ამ ცენტრის გახსნით ნატო და საქართველო უფრო მეტად უახლოვდება ერთმანეთს. სწორედ, ასეთი განცხადებები და ცენტრის გახსნაც იმის გარანტიაა, რომ სერიოზული ესკალაცია და აგრესია რუსეთის მხრიდან ვერ მოხდება და თუ რუსული აგრესია განმეორდება, ძალიან სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს ნატო“, — აცხადებს „ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელი“ დირექტორი გიორგი მუჩაიძე, რომელიც თვლის, რომ რუსეთი თავის ქმედებებში მეტ სიფრთხილეს გამოიჩენს.

რა საპასუხო ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი და აამოქმედებს თუ არა საქართველოში რბილი ძალის პოლიტიკას? ამ თემებზე for.ge გიორგი მუჩაიძეს ესაუბრა.

— გენერალური მდივანი აცხადებს, რომ ნატო-საქართველოს სასწავლო საწვრთნელი ცენტრი არ არის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული; თუმცა, ამის მიუხედავად რუსეთის პირველი დიპლომატი აცხადებს, რომ თუკი საქართველო დაუახლოვდება ნატოს, რუსეთი ადეკვატურად იმოქმედებს. რა საპასუხო ნაბიჯებს უნდა ველოდოთ რუსეთის მხრიდან?

— მიუხედავად იმისა, ნატოსთან ინტეგრაციის კუთხით ხდება თუ არა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რუსეთის მხრიდან მუდმივად ხორციელდება აგრესიული ქმედებები. ამის მაგალითია ე.წ. საზღვრების გადმოწევა. დასკვნა ძალიან მარტივია, რუსეთს არ უნდა საქართველო შედგეს, როგორც დამოუკიდებელ და წელში გამართულ სახელმწიფოდ. რამდენადაც, ჩვენს ასეთ მძიმე სიტუაციაში ყოფნის შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნება, რომ ჩვენს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე სრული კონტროლი განახორციელოს.

აქედან გამომდინარე კი, ხსნა იმაშია, რომ მეტი ინტეგრაცია მოხდეს დასავლეთთან როგორც ეროკავშირის, ასევე ნატოს კუთხით. როგორც ისტორიამ გვაჩვენა, ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტორი იმისა, რომ რუსეთი ნაკლებად ჩაერევა საქართველოს საკითხებში და ურთიერთობაც უფრო მეტად ცივილური იქნება.

— ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნა რუსული მედიის მთავარი განხილვის თემაა. მოსკოვი მიიჩნევს, რომ საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნა პროვოკაციული ნაბიჯია.რუსული რეაქცია შემოიფარგლება მცოცავი ანექსიით, რომლის საბოლოო მიზანიც გორი-თბილისის მაგისტრალზე კონტროლის დამყარებაა...

— ნატოს მხრიდან ასეთი ერთმნიშვნელოვანი ქმედებები და გენერალური მდივნის განცხადებები იმედს მიჩენს რომ სერიოზული ესკალაცია და აგრესია რუსეთის მხრიდან ვერ მოხდება და თუ რუსული აგრესია განმეორდება, ძალიან სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს ნატო.

— თუმცა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, რომ ალიანსის ეს ნაბიჯი სერიოზული დესტაბილიზაციის ფაქტორია რეგიონში...

— განცხადება ერთია და კონკრეტული ქმედება — მეორე. თუ ისტორიას გადავხედავთ, მსგავსი აგრესიული განცხადებები კეთდებოდა რუსეთის მხრიდან ბალტიისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში გაწევრიანების შემთხვევაშიც. მეტიც, ბირთვული იარაღითაც კი აშინებდნენ დასავლეთს.

მაგრამ საბოლოო ჯამში, როდესაც ნატომ მიიღო გადაწყვეტილება და რუსეთი ფაქტის წინაშე დადგა, მისი განცხადებები მხოლოდ განცხადების დონეზე დარჩა.

საბოლოო ჯამში, ძალიან მშვიდობიანად და უსაფრთხოდ მოხდა ამ ქვეყნების გაწევრიანება. რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს, ნუ დაგვავიწყდება, რომ 50-იან წლებში, როდესაც გერმანია მიიღეს ნატოში, მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი ოკუპირებული იყო წითელი არმიის მიერ.

— საქართველოში ნინო ბურჯანაძე ავითარებს იმ პოლიტიკას, რომ საქართველოს აქვს ოკუპირებული ტერიტორიები, რაც ნიშნავს, რომ საქართველო ვერ გახდება ალიანსის წევრი, თუ უარს არ იტყვის ამ ტერიტორიებზე...

— დიახ, სწორედ იმიტომ მოვიყვანე ეს მაგალითი, რომ ნახევარი გერმანია ოკუპირებული იყო წითელი არმიის მიერ; თუმცა, ამის მიუხედავად გერმანია გაწევრიანდა ნატოში. რამდენიმე წლის მერე მთლიანად დაიშალა საბჭოთა კავშირი და გერმანია, როგორც გაერთიანებული სახელმწიფო, მთლიანად შევიდა ნატოში.

გერმანიას მტკიცე საერთაშორისო მხარდაჭერა ჰქონდა, რაც გერმანიამ მოიპოვა იმისთვის, რომ ძალიან სერიოზული რეფორმები განახორციელა და წარმოჩინდა, როგორც საერთო ღირებულებების გამზიარებელი ქვეყანა. აქედან გამომდინარე, გერმანიის საფრთხე, საფრთხეს წარმოადგენდა ნატოსთვის — სრული აღქმა იყო იმისა, რომ გერმანია არის სრულუფლებიანი პარტნიორი — მხარდაჭერამაც არ დაყოვნა და დღესდღეობით გერმანია ლიდერი ქვეყანაა ევროპაში.

— თუმცა, გერმანიისგან განსხვავებით, საქართველოს რესურსები გაცილებით მოკრძალებულია...

— რა თქმა უნდა, ჩვენ უფრო მოკრძალებული რესურსები გვაქვს, მაგრამ თუ განვახორციელებთ დემოკრატიულ რეფორმებს, შეიძლება რეგიონის ძლიერ ლიდერადაც ჩამოვყალიბდეთ, გავხდეთ დემოკრატიული და ეკონომიკური კუთხით ფლაგმანი, რაც აუცილებლად გაზრდის ნატოს და დასავლეთის ინტერესს ჩვენს მიმართ.

— ბალტიის ქვეყნების მაგალითი მოიყვანეთ, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთს სტრატეგიული ინტერესი აქვს, გასაგებია, რომ ვითარება საომარ კონფლიქტამდე არ მივა, მაგრამ გამორიცხავათ, რომ აამოქმედოს იგივე რბილი ძალის პოლიტიკა, რომელსაც მიმართავს ხოლმე რუსეთი?

— გეთანხმებით, რომ ამ მხრივ ძალიან სერიოზულად არის წინ წასული რუსეთი, სამწუხაროდ, ძალიან სერიოზული პრობლემა გვაქვს. მაგრამ ჩვენი მთავრობის სწორი პოლიტიკის შემთხვევაში, ეს პრობლემა აბსოლუტურად უმტკივნეულოდ შეიძლება მოგვარდეს. თუ არ გინდა, რომ ეკონომიკური კუთხით დამოკიდებული იყო რუსეთზე და რუსეთის ბაზარზე, მართალია მარტივი გასაკეთებელი არ არის, მაგრამ აბსოლუტურად შესაძლებელია დაგეგმო და გაატარო შენი პროდუქციის დივერსიფიკაციის პოლიტიკა. ჩვენს მეწარმეებს დავეხმაროთ ალტერნატიული ბაზრის მოძებნაში. რუსეთის ბაზარი არ უნდა იყოს წარმოჩენილი, როგორც ქართული ეკონომიკის გადარჩენის ერთადერთი გზა.

ძალიან მომრავლდა პრორუსული ორგანიზაციები. ა-ო „ევრაზიის ინსტიტუტი“ და მსგავსი არასამთავრობოები; ასევე, რუსეთმა ძალიან გააააქტიურა მის მიერ დაფინანსებული და მართული მედიასაშუალებები. საჭიროა სერიოზული და დალაგებული საინფორმაციო სტრატეგიის ჩამოყალიბება და მისი განხორციელება, რომ რუსეთმა თავისი საინფორმაციო საშუალებებით ვერ შეძლოს მოსახლეობისთვის ალტერნატიული რეალობის თავს მოხვევა. ამ თვალსაზრისით სერიოზული სამუშაო აქვს განსახორციელებელი საქართველოს მთავრობას.

თამთა ძარჩავა

◎ ადვოკატი გვირჩევს

შეძახილმა ხე გაახმოო!

ვისწავლოთ და ვასწავლოთ კარგი მაგალითითაც

ვისაც საქმე თავისუფლების აღკვეთილთან თუნდაც ერთხელ ჰქონია, ვფიქრობ, დამეთანხმება, რა რთული და მრავალი ცუდი ემოციის შემცველია ის გარემო, რომელიც სამართალში მიცემულისა და მისი ადვოკატის წინაშე არის, რათა არ გაუჭირდეთ იმ ჭეშმარიტების დასაბუთება, რომელიც მსაჯულს საშუალებას მისცემს, რომ მართლად სჯიდეს და მართებული ვერდიქტი გამოიტანოს.

საქართველო დიმიტრი უზნაძის სამშობლოა და ამიტომ ვერავის გააკვირვებ იმის თქმით, რომ ზემოხსენებულ უაღრესად საპასუხისმგებლო წუთებში რა დიდი როლი ენიჭება განწყობას, რომელსაც, ფაქტობრივად ჰქმნის მრავალი დეტალი. მათ შორის არა მარტო როყიოდ ნასროლი სიტყვა, არამედ ერთი შეხედვით არაფრისმთქმელი ხელის შეხება, ან თუნდაც ზედამხედველის გამოხედვაც კი. ამას მე, როგორც ადვოკატი განსაკუთრებით ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ უამრავ წვრილმანთან ერთად, ფაქტობრივად არსებითად არავის არაფერი უთქვამს საბადრაგო სამსახურის ავკარგიანობასა და განსასჯელთან თუ მის ადვოკატთან ამ სამსახურის წარმომადგენელთა ურთიერობაზე. არადა, „ციხის კადრებიდან“ მოკიდებული, უამრავი ცუდი მოვლენის გამომზეურებით შექმნილ აურას საპირწონე აუცილებლად ესაჭიროება.

ამ მხრივ მე განსაკუთრებით გამოვყოფდი ქუთაისის სასჯელაღსრულების მეორე დაწესებულების სამართლებრივი პროცესების ხელმძღვანელს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ ბატონ ჯანო გრძელიძეს.

ჩემი კოლეგები და ის განსასჯელები, რომლებსაც მასთან და მის ხელქვეითებთან შეხება ჰქონიათ, ალბათ,დამეთანხმებიან, რომ თითოეული მათგანი უაღრესი კორექტულობით გამოირჩევა. როგორც ჩანს, ეს შემთხვევითი არ არის. ამ დანაყოფის ხელმძღვანელს ცხოვრებისეულთან ერთად ძალოვან სტრუქტურებში საკმაოდ ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება აქვს და არ მახსენდება არც ერთი ფაქტი, რომ ადვოკატებს მასთან რაიმე გაუგებრობა გვქონოდა.

მე ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის ელექტრონული და ბეჭდვური მედიის წარმომადგენლებთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს და, როგორც მათი ერთგული პარტნიორი, ვურჩევდი, მეტი ყურადღება გამოეჩინათ კარგი მაგალითებისადმი, თორემ, ხომ გაგიგონიათ, შეძახილით ხე გახმაო?

ვალერი ბანძელაძე,
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

ქუთაისი

◎ დავა

ფოთის ბაზრის მოვაჭრეები იჯარის გაზრდას აპროტესტებენ

დღემდე ისინი ყოველთვიურად 150 ლარს იხდიდნენ. ბაზრის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით კი, თანხა გაიზარდა და 200 ლარს შეადგენს. ბაზარში მისულ მოვაჭრეებს სავაჭრო ობიექტები დალუქული დახვდათ, რასაც მათი მხრიდან პროტესტი და ხმაური მოჰყვა.

ისინი აცხადებენ, რომ მძიმე სოციალური პირობების გამო, მომატებული თანხის გადახდას ვერ შეძლებენ. მათივე განმარტებით, მოვაჭრეებს ბანკის ვალები აქვთ.

ბაზრის დირექტორი თეა ბელთანია კი ამბობს, რომ სხვა რეგიონებთან შედარებით მათ მიერ დაწესებული იჯარის გადასახადი , მინიმალურია. მისივე განცხადებით, ეს გადაწყვეტილება გარდაუვალი იყო.

ბაზარში შეკრებილ მოვაჭრეებთან ფოთის მერი ირაკლი კაკულია მივიდა. მისი თქმით, ეს არის მოვაჭრეთა და კერძო მესაკუთრეებს შორის დავა. თუმცა, მოლაპარაკებებზე მზაობა გამოთქვა.

შეხვედრისას გადაწყდა, რომ მოვაჭრეები იჯარის თანხას კვლავ 150 ლარს გადაიხდიან. თუ როგორ დასრულდება დავა, მოვაჭრეებსა და კერძო მესაკუთრეს შორის, ერთი თვის შემდეგ გახდება ცნობილი.

ინტერპრესი

აფხაზმა დეპუტატებმა რუსეთის კრიტიკას მოუხშირეს...

პუტინი დაპირებებით კვებავდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოს და დათქმულ თანხას მხოლოდ მიზერულად უნაწილებდა. როგორც რუსული გამოცემა „კომერსანტი“ იტყობინება, 2015 წელს რუსეთმა ოკუპირებული აფხაზეთისთვის, პრაქტიკულად, შეწყვიტა რესურსების გაღება და სოხუმმა დე ფაქტო რესპუბლიკის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ფარგლებში შეპირებული 3,7-მილიარდიანი დახმარებიდან ჯერ მხოლოდ 127 მილიონი რუბლი მიიღო.

პუტინისგან შეპირებულ 5 მილიარდ რუბლსაც აფხაზები დღემდე ელიან. ამის გამო აღშფოთებას ვერ მალავენ და დე ფაქტო პარლამენტის სხდომაზე ადგილობრივმა დეპუტატებმა რუსეთის მიმართ კრიტიკული განცხადებები არ დაიშურეს.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ 5 მილიარდი რუბლის გამოყოფის დაპირება პუტინმა ჯერ კიდევ გასულ წელს გასცა, როცა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ხაჯიმბასთან რუსეთსა და აფხაზეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულება გააფორმა.

სავარაუდოდ, კრემლს ოკუპირებული ტერიტორიების შენახვა კიდევ უფრო გაუჭირდება. რუსეთის მიერ დასავლეთისგან დაწესებულ სანქციებს მიმდინარე კვირაში ახალი პრობლემაც დაემატა. ე.წ. „შავი ორშაბათის“ შემდეგ ჩინეთის საფონდო ბირჟაზე ინდექსების ვარდნა ისევ გრძელდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩინეთის ეკონომიკა მსოფლიოში სიდიდით მეორეა, აშკარაა, რა რთულ ვითარებაში აღმოჩნდება არა მარტო მსოფლიოს საფონდო ბირჟები, არამედ რუბლიც, რომლის მდგომარეობა ისედაც „სამაშველო“ ოპერაციებს საჭიროებს.

საინტერესოა, რა თანხებს ხარჯავს კრემლი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შენახვაზე და რუსეთის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რა შანსები ეძლევა საქართველოს, დაინტერესოს დროებით დაკარგულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა?!

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ ამ ეტაპზე რუსეთის საერთაშორისო სავალუტო მარაგი შეიცავს 364 მილიარდ დოლარს. შედარებისთვის, უკრაინის ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენს 12 მილიარდ დოლარს. პარალელურად, რუსეთის ეკონომიკის მინისტრი აცხადებს, რომ რუსეთს შეუძლია გაუძლოს ნავთობზე ფასების დაცემას, თუნდაც 40 დოლარზე ქვევით შკალასაც კი. ექსპერტის თქმით, მართალია, ამ ეტაპზე რუსული მძიმე და მსუბუქი ნავთობის ფასი 45, 6 დოლარია ერთ ბარელზე, მაგრამ თანდათან ნავთობის ფასების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა.

„პუტინი გამოიყენებს ბიუჯეტის სეკვესტრირებას. არ მგონია, ეს თავდაცვის ხარჯებს შეეხოს, რადგან თავდაცვის ხარჯები კიდევ უფრო გაიზარდა, სულ ახლახან კი რუსეთმა ბალისტიკური რაკეტები გაუშვა. რუსეთის მიერ იარაღის გაყიდვის 2015 წლის პორტფელიმ ყველაზე მაღალ ნიშნულს — 40 მილიარდ დოლარს მიაღწია. რუსული იარაღის ექსპორტითა და იარაღის გაყიდვით ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს შეუძლია შეავსოს თავისი მწირი ბიუჯეტი.

საინტერესოა ისიც, რომ ჯერჯერობით რუსეთს რჩება სტრატეგიული რეზერვები, რასაც რუსეთი აუცილებლად გამოიყენებს. სანქციების მიუხედავად, დასავლეთის სახელმწიფოები რუსეთთან კოსმოსური და სტრატეგიული ტიპის მიმართულებით თანამშრომლობას მაინც არ წყვეტენ. ნავთობის მარაგები ისევ სერიოზული შემოსავლის წყაროა რუსეთისთვის. როგორც ჩანს, რუსეთი დაიწყებს ძვირფასი ლითონის გაყიდვასაც — ალმასი, ოქრო და სხვა, რომლის მარაგიც რუსეთს საკმაოდ გააჩნია.

რუსეთი ჩინეთთან ურთიერთობის განვითარებასაც ცდილობს, ამიტომ ჩინეთის ეკონომიკის ვარდნის ფონზე რუსეთისთვის რთული ვითარება შეიქმნება. რუსეთში უკვე დაიწყო ხელფასების გადავადების პროცესი, ანუ ის პროცესი, რაც ადრე იყო, როცა სამოთხი თვის განმავლობაში ხელფასებს ვერ აძლევდნენ მოსამსახურეებს. ეს ტენდენცია ჩრდილო კავკასიაშიც აშკარაა. ამ მძიმე სიტუაციის მიუხედავად, რუსეთმა მაინც შეძლო ის, რაც ამ ხნის განმავლობაში საქართველომ ვერ მოახერხა.

რუსეთის მიერ შეყოვნებული ტრანში ოკუპირებული ტერიტორიებისთვის საქართველოს ახალ შანსს არ უჩენს

კერძოდ, რუსეთმა მოახდინა ანექსირებული რეგიონების ინტეგრირება და დღეს ჩვენი ტერიტორიები რუსეთის შიდა გუბერნიად გადაიქცა. ეს ყველაზე რთულია. ფაქტობრივად, რა სიტუაციაც ვითარდება დაღესტანში, ჩეჩნეთში, კრასნოდარის მხარეში, იგივე ხდება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც. ამ ფონზე რუსეთი აპირებს სეკვესტრის გამოყენებას და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებისთვის თანხების შემცირებას, მაგრამ ეს არ ეხება სამხედრო ხარჯებს. რა სუბსიდირებასაც გამოყოფს რუსეთი დაღესტანსა და ჩეჩნეთზე, დაახლოებით ამდენივე უჯდება ცხინვალისა და აფხაზეთის შენახვა“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

პოლიტოლოგი **კორნელი კაკაჩია** აცხადებს, რომ სანქციების ფონზე რუსეთის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია და თუ ნავთობის ფასის კლება გაგრძელდება, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება ეს ქვეყანა. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთის რესურსები არ არის ულევი, რუსეთის ხელისუფლებამ უკვე რამდენიმე მინიშნება გააკეთა, რომ მზად არის დათმობისთვის იმავე უკრაინასთან მიმართებით. თუმცა დასავლეთი რბილად შეხვდა რუსეთის ამ რევერანსებს.

„რუსეთში მშვენივრად იციან, რომ სანქციებს ვეღარ გაუძლებენ. ეს პუტინის გარემოცვამაც იცის და ეძებენ გამოსავალს, რომ სახე შეინარჩუნონ. თუმცა ჯერ არ არიან მზად იმისთვის, რომ დათმონ ყველაფერი, მათ შორის, ოკუპირებული ტერიტორიები. ამის მიუხედავად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი დიდი ქვეყანაა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შენახვას სულაც არ სჭირდება ძალიან დიდი და გასაოცარი თანხა. ყველამ იცის, რომ რუსები უანგაროდ არ ეხმარებიან აფხაზებსა და ოსებს.

მთლიანობაში, იმდენად მძიმეა ფინანსური და ეკონომიკური ფონი, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი რუსეთისთვის მეასეხარისხოვანია, თუკი სიტუაცია ძირეულად არ შეიცვალა. ამიტომაც შეყოვნებულია ტრანში, რომელსაც ელიან აფხაზეთში. სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობებიც არ არის იმ დონის, რომ ალტერნატივა გაჩნდეს“, — აღნიშნა კორნელი კაკაჩიამ და დასძინა, რომ მომავალში, თუ რუსეთის ეკონომიკა ჩამოიშლება (რაც, ნაწილობრივ, საქართველოსაც შეეხება) საქართველომ შეიძლება სხვა ფორმულირება შესთავაზოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ევროინტეგრაციის პირობებში.

მანამდე კი, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რუსები განიხილავენ, როგორც ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებს, ჩრდილო ოსეთს ან სტავროპოლის მხარის მსგავს დანამატს. შესაბამისად, თუ რუსებს ხელსაყრელი საერთაშორისო გარემო ექნებათ, საშუალოვადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაში გამორიცხული არ არის, ეს ტერიტორიებიც ფორმალურადაც მიითვისონ, როგორც ეს მოხდა ყირიმის შემთხვევაში.

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

პირველკლასელთა რეგისტრაცია დღეს მთავრდება

პირველკლასელთა დამატებითი რეგისტრაცია მშობლებს 2 სექტემბერსაც შეეძლებათ. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, დამატებითი რეგისტრაციის ვადით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ იმ ბავშვებს, რომელთა ასაკი კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს შეეფერება, მაგრამ ისინი დღემდე არ არიან პირველ კლასში დარეგისტრირებულები.

რეგისტრაცია განხორციელდება ელექტრონული ფორმით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე მხოლოდ იმ სკოლებში, სადაც განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ვაკანტური ადგილებია დარჩენილი. ვაკანტური ადგილების შესახებ ინფორმაცია ამავე ვებგვერდზე განთავსდება.

რეგიონებისა და თბილისის სკოლებში ბევრი ვაკანტური ადგილია დარჩენილი. თბილისის მასშტაბით სხვადასხვა სკოლებში 3 570 ვაკანტური ადგილია, რეგიონებში კი გაცილებით მეტი ვაკანტური ადგილია დარჩენილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2015-2016 სასწავლო წელს პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადად განსაზღვრა 23 აპრილიდან 11 ივლისამდე პერიოდი. რეგისტრაცია 3 ეტაპად განხორციელდა. საჯარო და კერძო სკოლებში ერთად დარეგისტრირდა 46 660 მოსწავლე, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მინისტრის მოადგილის თქმით, სარეგისტრაციო ვადა საკმაოდ ხანგრძლივი იყო, რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ასეულობით მშობელმა, კერძოდ, 820-მა მშობელმა მიმართა, რომლებმაც ვერ მოახერხეს შვილების რეგისტრაცია, ან სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ ეს პერიოდი გამორჩათ, ამიტომ პირველი და ორი სექტემბერი პირველკლასელთა დამატებითი რეგისტრაციის ვადად განისაზღვრა.

ამოწმებენ სკოლების მზადყოფნას

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ ქეთევან ნატრიაშვილმა და მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა ქალაქ გორისა და გორის რაიონის რამდენიმე საჯარო სკოლა დაათვალიერეს. ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, სამინისტროს პირველი პირები მოსწავლეებისათვის გადასაცემი სახელმძღვანელოებითაც დაინტერესდნენ.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ქალაქ გორისა და გორის რაიონის საჯარო სკოლები აქტიურად ემზადებიან ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის. ბევრ სკოლაში ჯერ კიდევ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, ამ ეტაპზე დასრულებულია ჩაბარებული სახელმძღვანელოების ინვენტარიზაცია და მათი ძირითადი ნაწილი ვარგისიანია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მკვეთრადაა ამაღლებული მოსწავლეებში სახელმძღვანელოების მოხმარების კულტურა, იშვიათად ფიქსირდება წიგნების მიმართ უდიერი მოპყრობის ფაქტები. შედეგად, წელს გორშიც წიგნების დიდი უმრავლესობა მაღალი ქულებით შეფასდა. 2015-2016 სასწავლო წლისათვის მოსწავლეებს, ისევე როგორც შარშან, გადაეცემათ სახელმძღვანელოების პაკეტები, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მაღალი ქულებით შეფასებული წიგნებით. ძველი და ახალი წიგნებით კომბინირებულ პაკეტებს მიიღებენ პირველკლასელებიც. როგორც წინა წლებში ყველა პირველკლასელი პირად პორტატულ კომპიუტერსაც საჩუქრად მიიღებს.

გორის რაიონის სკოლები ახალ სასწავლო წელს მომზადებული ხვდებიან.

ინტერპრესი

თავიანთი გადასახდელი მილიარდები ბანკებმა მთავრობის დახმარებით უნდა ამოიღონ ჩვენი ჯიბიდან?!

ეკონომისტ სოსო სიმონიშვილის აზრით, ჩვენი კანონები სახელმწიფოს დომინანტობით არის გაჯერებული და საზოგადოება დღემდე საბჭოური განწყობის ტყვეობაში იმყოფება. ანუ, ჩვენი კანონმდებლობით გასაოცრად დიდია უფლებრივი სხვაობა სახელმწიფო ორგანოებსა და კერძო სამართლის სუბიექტებს შორის. მაგალითად, თუ სახელმწიფოს აქვს კერძო სუბიექტის ვალი, მას ან დაუბრუნებს, ან — არა. საპირისპირო შემთხვევაში კი, სახელმწიფო არაფერს გაპატიებს.

სოსო სიმონიშვილი: რაც დღეს საქართველოში ხდება, ეს საბაზრო ეკონომიკის ძალზე ცუდი ვარიანტია. თუ საბაზრო ეკონომიკაში კონკურენტული გარემო არ იქნა, მაშინ ასეთი ეკონომიკა ცუდ ფენომენად იქცევა, სადაც მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების საზოგადოებაზე ძალმომრეობის გამო ეს საზოგადოება უმძიმეს მდგომარეობაში ვარდება.

— ნაცმოძრაობის დროს არ გვიკვირდა მონოპოლიები და ოლიგოპოლიები, მაგრამ დღეს, როცა ყოფილი პრემიერი - ბიძინა ივანიშვილი და მოქმედი პრემიერი — ირაკლი ღარიბაშვილი ქართულ ბიზნესს მარწუხებიდან გამოსვლას დაპირდნენ, მაინც ფიქრობთ, რომ კანონმდებლობაა დასახვეწი? თუ კანონმდებლობის გარეთაც არის დარჩენილი შავი ხვრელები, რითაც შეიძლება ისარგებლონ ხელისუფლების არაკეთილსინდისიერმა წარმომადგენლებმა და ბიზნესს ფარული თანამშრომლობა შესთავაზონ?

— საქმე ისაა, რომ ჩვენი საზოგადოება თავისუფალ საზოგადოებად უნდა ჩამოაყალიბოს ორმა ფაქტორმა — კანონებმა და შემდეგ უკვე ამ კანონების გამოყენებამ. არადა, პირდაპირ კონსტიტუციიდან მოყოლებული, კანონებში სერიოზული პრობლემაა. საგადასახადო კოდექსში წერია, რომ გადასახადი არის უნაცვალგებო შენატანი ბიუჯეტში. რას ნიშნავს უნაცვალგებო შესატანი? ე.ი. საზოგადოება ამდენ გადასახადს იხდის და არაფერი არ უნდა მიიღოს? ეს ძალზე უხეში ჩანაწერია.

— მიჩვეული ვართ, რომ გადასახადებს ვიხდით და სანაცვლოდ არაფერს ვიღებთ. ამ შემთხვევაში, რა უნდა მიიღოს გადასახადის გადამხდელმა?

— გადასახადებს ვიხდით არა ბიუჯეტის შესავსებად, არამედ იმისთვის, რომ ვიყიდოთ საზოგადო სიკეთეები. ეს არის, პირველ რიგში, უსაფრთხოება, რომელსაც მაღაზიაში ვერ ვიყიდით. შესაბამისად, გადასახადს ვიხდით იმისთვის, რომ ვიყოთ უსაფრთხოდ, კანონმა, პოლიციამ, სასამართლომ დაგვიცვან. არადა, ეს უწყებები ხანდახან გვიცავენ, მაგრამ თუ ძალზე გამწვავდა ვითარება, მაშინ, დააკვირდით, კანონი იცავს უფრო მეტად მთავრობას და ხანდახან მთავრობას იცავს უკვე ხალხისგან.

— ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობენ ფასების უსასრულო ზრდაზე. ამას ახლა ფქვილის გაძვირების პრობლემაც დაემატა, ამბობენ, რომ ეს ბაზარი მონოპოლისტის ხელშია — ხომ არ არის ეს საბოტაჟი ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ?

— ხელისუფლება თვითონვე ქმნის რევოლუციურ სიტუაციას, როცა საზოგადოება იძულებული ხდება, ხელისუფლება პოლიტიკური სადავეებისგან გაათავისუფლოს. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენი პოლიტიკური კლასის განათლება დაბალ დონეზეა. აბა, ნახეთ, რა ხდება - 24-25 წელია, რაც დამოუკიდებელნი ვართ და ყველა ხელისუფლება ცდილობს, თავის ინტერესთა ჯგუფის ხელში მოაქციოს მთავარი „ფულის შოვნის სფეროები“ ანუ ძირითადი სასაქონლო ჯგუფების იმპორტი, საწვავი იქნება, ხორცი, ხორბალი თუ სხვა რამ. მთავრობები თავად ქმნიან მონოპოლიებს ან ხელს უწყობენ მათ შექმნას. ამიტომაც მცირე და საშუალო ბიზნესს მხოლოდ 16 % უკავია. მონოპოლიური და ოლიგოპოლიური მდგომარეობა ჩვენი ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროშია. სადაც კონკურენტული გარემო იქმნება, სტიქიურად მთავრობები იმასაც ამოშანთავენ ხოლმე.

ასე მოხდა თბილისის სატრანსპორტო სფეროში წინა ხელისუფლების დროს და იგივე მოხდა რუსთავში ამ ხელისუფლების დროს. ყველა ხელისუფლება მოსვლისთანავე ამყარებს კონტროლს, რითაც იღებს შემოსავალს. შესაბამისად, ხალხი უკვე მერამდენედ გაბრაზდება და გაუშვებს მოუსავლეთში იმ პოლიტიკურ ძალას. ამ პოლიტიკურ კლასს არ ესმის, რომ მისი ფუნქცია უნდა იყოს არა ის, რომ არსებულ სიტუაციას თავად მოერგოს, არამედ პოლიტიკური ელიტა ვალდებულია საზოგადოების განვითარებაზე იფიქროს. მარტო თვითონ კი არ იშოვოს ფული, არამედ საზოგადოებას მისცეს მისი პოტენციალის გამოვლენის საშუალება, სადაც ყველა იმუშავებს.

— ჩვენში დღეს მეტად პოპულარულია მსოფლიოში არსებული კრიზისით აპელირება, იშველიებენ საბერძნეთის მაგალითს, ასევე, შიდა პრობლემებს, თურმე ქადაგიძის ბრალი ყოფილა ყველაფერი. არის კი ეს გამართლება იმ ხელისუფლებისთვის, რომლის მთავარი მენეჯმენტიც ბიუჯეტის უსასრულო ხარჯვაა საკუთარ პრემიებსა და ხელფასებში?

— მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს რაც შეეხება, ეს თავისთავადი ფენომენი არ გეგონოთ, ესეც, პრინციპში, სოციალური დაპირისპირებაა. მემარცხენეობის მიზნები ზოგადად სწორია, რომ ღარიბებმა უკეთ იცხოვრონ, მაგრამ მემარცხენეობა ამბობს, ჩვენ უნდა მოვიდეთ ხელისუფლებაში, მდიდრები დიდი გადასახადით დავბეგროთ და ღარიბებს მივცეთ მეტი სოციალური დახმარება, ფულიო. ეს სწორი არ არის, ეს უტოპიაა, ეს შეუძლებელია, ეს ერთხელ შეიძლება გააკეთო, მაგრამ მეტჯერ უკვე ვეღარ გააკეთებ.

— ნაწილობრივ ეს არსენას სინდრომია - მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს...

— აქ საჭიროა არა ასეთი მოქმედება, არამედ კონკურენცია, რაც უკვე მემარჯვენე ვარიანტია. საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობა და უფლებრივი თანასწორობა მოაქვს კონკურენციას და არა მდიდრისთვის ქონების წართმევას. კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის საფუძველია. სადაც არასრულფასოვანი კონკურენციაა, იქ ოლიგოპოლიები მძლავრობენ და იქმნება დიდი უსამართლობა როგორც წარმოების, ისე შემოსავლების მიღებაში.

ამან წარმოქმნა უზარმაზარი მოძრაობა სხვადასხვა ქვეყანაში, რაც ამერიკაში დაიწყო, სადაც დაბალშემოსავლიანი ადამიანები ხედავენ, რომ საფინანსო-საბანკო სფეროს მესვეურები მათ ეკონომიკურ თავისუფლებას ავიწროებენ. უფრო შორს მიმავალ ანალიზს ვეღარ აკეთებენ.

საქმე ის არის, რომ ერთმანეთს უპირისპირდება რეალური, ანუ სამრეწველო სექტორი, სადაც რეალური სიკეთეები იწარმოება და საფინანსო-საბანკო სექტორი, სადაც ,,ჰაერიდან ფულის წარმოების“ შესაძლებლობას კარგად იყენებენ ამ სფეროს მესვეურები. პირველში სიმდიდრე შრომის და საჭირო საქონლის წარმოებით მოიპოვება, მეორეში — ფინანსური მაქინაციებით. ეს გლობალური დაპირისპირებაა. ამას ამერიკაში ,,ოკუპაი უოლსტრით“ უწოდეს. ჩვენთანაც ანალოგიური ხდება — ჩვენი საბანკო სისტემაც ასე იქცევა.

ამ შემთხვევაში, ხალხი სწორია. წარმოება უმნიშვნელოვანესია, ჩვენ რომ გადავრჩეთ, აუცილებლად უნდა ვაწარმოოთ რაც შეიძლება მეტი რესურსი და ეს უნდა გაკეთდეს ისე, რომ მეტი ხალხი დასაქმდეს. ხალხი მიიღებს ხელფასს და აღარ იქნება საჭირო მემარცხენე რევოლუციები. დამსაქმებლები მიიღებენ დივიდენდს, ხოლო ბიუჯეტი მიიღებს გადასახადს და ყველაფერი კარგად იქნება. დარჩება გარკვეული ფენა იმ ადამიანებისა, რომლებსაც მუშაობა არ შეუძლიათ, მაგრამ რადგან ამდენი სიმდიდრე იტრიალებს ქვეყანაში, მათი რჩენის პრობლემა აღარ იქნება.

— ყველაზე მძიმე პენსიონრისთვის ის არის, რომ როცა გაჭირვების გამო წინასწარ ერთი თვით ადრე გამოაქვს პენსია, ბანკი ამით 9 ლარამდე სარგებელს იღებს, რაც არ ჩანს და ფიქსირდება მხოლოდ 4.50 ლარი; ბევრად უფრო დიდი თანხით ხეირობს ბანკი, თუკი პენსიონერი წინასწარ რამდენიმე თვის პენსიას გამოიტანს...

— რა თქმა უნდა, ყველა საკრედიტო ბარათს აქვს განაღდების საკომისიო, ე.ი. ბანკი ბეგრავს პენსიას. ეს ხომ სასწაულია, ისედაც 150-ლარიან მათხოვრულ პენსიას უბეგრავენ პენსიონერს. რატომღაც გადასახადებს ხშირად ვეძახით დენისა და გაზის ფულს, რაც არასწორია, რადგან ის არ არის გადასახადი.

სინამდვილეში, ჩვენ ვყიდულობთ დენს და გაზს, გადასახადი კი არის მოგების, საშემოსავლო და დღგ-ს გადასახადი. დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) აბსოლუტურად ყველაფრის ფასში შედის, შესაბამისად, პენსია მთლიანად იბეგრება დღგ-თი. არც ერთმა პენსიონერმა არ იცის, რომ ფარულად დღგ-ს გადასახადს იხდის 18 %-ის ოდენობით. ჩვეულებრივ დეპუტატს, სულ მცირე, 2800-ლარიანი ხელფასი აქვს, კიდევ რაღაც დანამატს იღებს და მთლიანობაში 3500 ლარი გამოსდის, მაგრამ იმ 3500-ს ხომ არ ხარჯავს პირადი მოხმარებისთვის? ნაწილს ინახავს ბანკში და ის ფული კიდევ შემოსავალს აძლევს.

გამოდის, პენსია მთლიანად იბეგრება დღგ-თი, ხოლო მაღალშემოსავლიანი ადამიანების შემოსავალი მხოლოდ ნაწილობრივ იბეგრება დღგ-თი. ანუ დეპუტატი რასაც დახარჯავს მოხმარებისთვის, მხოლოდ ის იბეგრება. ნახეთ, როგორი უთანასწორობაა?! როგორ შეიძლება, პოლიტიკოსი იყოს ადამიანი, რომელმაც არ იცის ეკონომიკის ანბანი?!.

უბედურებაა, რაც ჩვენს ქვეყანაში ტრიალებს და ამ დროს ჩვენები ამაყობენ იმით, რომ ჩვენთან არის ბრტყელი, ანუ ჰორიზონტალური დაბეგვრა. არადა, სწორედ ეს იწვევს ამ უბედურებას. არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში პირველადი მოხმარების საგნები და პროდუქტები დღგ-თი არ იბეგრება. ჩვენთან კი ყველაფერზე 18 %-იანი დღგ-ა.

— ბოლო დროს გახშირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც გულუხვად გასცემენ სესხებს, ჩვენი კომერციული ბანკებისგან საზრდოობენ თუ დამოუკიდებელი უწყებები არიან?

— მიკროსაფინანსოების უმეტესობა ჩვენი დიდი ბანკების ქოლგის ქვეშაა, მაგრამ, ასევე არის ონლაინ სესხების სისტემაც, რომელიც დღითი დღე მრავლდება. არ მაქვს ინფორმაცია, მაგრამ შეიძლება ისიც იყოს საბანკო ქოლგის ქვეშ. სწორედ ამდენ სიმახინჯეს წარმოშობს კანონმდებლობის ხარვეზები. ამიტომ აუცილებელია კონსტიტუციის და მთელი კანონმდებლობის რევიზია. არ უნდა იყოს იქ ისეთი კანონები, რომლებიც წარმოების განვითარებას ხელს შეუშლის, წარმოებას ხელი არაფერმა უნდა შეუშალოს, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა დაირღვეს ადამიანის ძირეული უფლებები და, მათ შორის, ეკონომიკური თავისუფლება. ასე რომ, დასაქმების ზრდასთან ერთად, გამოსავალია წარმოების ზრდა.

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ხორბლის ფქვილის მიმართ სპეკულაცია მოხდება

ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება პირველ იანვრამდე გადავადდა. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან იტყობინებიან. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ განაცხადა, ბოლო პერიოდში საუბარი იყო ფქვილის იმპორტთან დაკავშირებულ გარკვეულ შეფერხებებზე. „ჩვენ არ შევქმნით საფუძველს სპეკულაციისთვის. მნიშვნელოვანია ბეზნესსექტორის წარმომადგენელთა მოსაზრებების გაზიარებაც; სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება პირველი იანვრისთვის გადაგვეტანა“, — განაცხადა ოთარ დანელიამ. ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი 1-ელ სექტემბერს უნდა ამოქმედებულიყო.

მაშველებმა გადაარჩინეს

შსს-ს მაშველებმა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებულები თბილისში ვერტმფრენით გადმოიყვანეს. შსს-ს ოპერატიული დახმარების მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ ახმეტის რაიონში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებულ 4 ადამიანს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა დახმარება. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გავიდა განსაკუთრებულ და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს მაშველთა ჯგუფი ექიმის თანხლებით.

ოპერატიულად ჩატარებული სამაშველო ღონისძიების შედეგად, ოთხივე დაშავებული ხევიდან ამოიყვანეს და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით თბილისში, ო.ღუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში გადმოიყვანეს.

ინტერპრესი

რაც სრულიად საიდუმლოდ ხდებოდა...

წიგნის ნიაღვარმა წალეკა ქვეყანა, მოქალაქე, რომელიც ფიქრობს (ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ) რომ მისი განვლილი გზა ჭკუის სასწავლია თანამოქალაქეთათვის, თავს ვალდებულად თვლის, მემუარებს ჩაუჯდეს, რათა ეს გზა შთამომავლობას არ დაუკარგოთ.

აქ ერთი „კანონზომიერება“ შეინიშნება: მემუარული ლიტერატურის ამ სიმრავლეში ძალზე ცოტაა ყოფილი უშიშროების მუშაკთა წილი. ეს გასაგებიცაა: ოდესღაც მიცემული „ფიცის“ ერთგულნი არიან და იმის მიუხედავად, რომ აღარც ის სახელმწიფო არსებობს, ვისაც შეჰფიცეს და აღარც ის ორგანიზაცია, საიდუმლოებს არ ამჟღავნებენ.

ამ ქვეყნიდან ისე წავიდნენ, რომ 34 წლის მანძილზე საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს, გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი ინაურს წერილობითი სახით არაფერი დაუტოვებია შთამომავლობისთვის არც მის მოადგილეებს.

ამიტომ სასიამოვნო გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს საქართველოს უშიშროების სამსახურის ძველი, ტიტულოვანი მუშაკის, რესპუბლიკის „პირველ მზვერავად“ სახელდებული, ერთ დროს სუკ-ის პირველი, მეხუთე განყოფილებათა უფროსის, სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილის და უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, **გენერალ-მაიორ ანზორ მაისურაძის** ცხოვრებისეული გზის ამსახველი წიგნის **„სპეცსამსახურების თვალით დანახული საქართველოს უახლესი ისტორიის შუქჩრდილები. ღირსეულად განვლილი „გზა“** გამოსვლა. დაწერილია პოლკოვნიკ **გელა სულაძის** მიერ, რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გურამ ბენაშვილი (გამომცემლობა **„მწიგნობარი“**, თბ. 2015).

საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ერთ დროს კარგად ორგანიზებული და ყოვლისმომცველი სტრუქტურა იყო. მისი ძირითადი ოპერატიული დანაყოფები გახლდათ საგარეო დაზვერვა (პირველი განყოფილება), კონტრდაზვერვა (მეორე განყოფილება), ე.წ. პოლიტიკური კონტრდაზვერვა, „პოლიტიკური პოლიცია“ – დისიდენტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა (მეხუთე განყოფილება), დარგების მიხედვით ანალოგიური ფუნქცია ჰქონდათ მესამე (შსს ორგანოებსა და სამხედრო კომისარიატებში), მეოთხე (ტრანსპორტი) და მეექვსე განყოფილებებს (განსაკუთრებული მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტებზე).



რესპუბლიკის ტერიტორიაზე ასევე მოქმედებდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის განსაკუთრებული განყოფილება (კონტრდაზვერვითი საქმიანობა საბჭოთა არმიაში) და გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო. ეს დანაყოფები ძირითადად რუს და სხვა ეროვნების თანამშრომელთაგან იყო დაკომპლექტებული, საქართველოს სუკ-ში კი ქართველები და ქართულგვარიანი ოფიცრები ჭარბობდნენ. საკავშირო მთავრობა საბჭოთა საქართველოში პერიოდულად წარმოქმნილ კრიზისულ ვითარებაში, მით უმეტეს ეთნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული განყოფილებისა და მთავარი სადაზვერვო სამმართველოს მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს უფრო ენდობოდა, ვიდრე საქართველოს სუკ-ის ანგარიშებს.

ანზორ მაისურაძემ ამ სისტემაში განვლო გზა ოპერმუშაკობიდან საქართველოს სუკ-ის ხელმძღვანელობამდე, ლეიტენანტიდან გენერალ-მაიორამდე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1961-1963 წლებში მოსკოვში გაიარა სსრკ-ის სუკ-ის უმაღლესი სკოლის ოპერმუშაკის მოსამზადებელი ორწლიანი კურსი უცხო ენის ცოდნით. 1965-1966 წ.წ. სწავლობდა მოსკოვის დაზვერვის უმაღლეს სკოლაში (ცნობილი 101-ე სკოლა). მსახურობდა საკავშირო სუკ-ის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილედ. 1971-1976 წ.წ. მივლინებით იმყოფებოდა იორდანიაში, შემდეგ კვლავ მოსკოვში – ქვეგანყოფილების უფროსად, 1978-1979 წ.წ. კი ისევ მივლინება – ამჯერად ერაყში. აქვე სათქმელად: მან დიპლომატიურ სამსახურში ყველა საფეხური გაიარა: საელჩოებში იყო ატაშე, მესამე, მეორე, პირველი მდივანი და ამ სფეროში საქმიანობა საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩევლის დარგში დაასრულა.

უშიშროების სამსახურის სისტემაში ძველი სტერეოტიპების მსხვრევა რთულად ხორციელდებოდა, დღესაც ახსოვთ: ერთმა განყოფილების უფროსმა ფანჯრებს დარაბები ააკრა, რათა მბეჭდავ ქალებს... მორზეს ანბანით ინფორმაცია არ გადაეცათ ქუჩაში გამვლელთათვის, მეორემ კი შავად გადაღება შენობის შიდა სივრცე – კაბინეტები და დერეფნები, რათა იქ მოხვედრილ „კლასობრივ მტერს“ თავზარი დასცემოდა, თავი ჯოჯოხეთის ჯურღმულში ეგრძნო.

მაგრამ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და ოპერატიული მუშაკები თანდათან იცვლებოდნენ. და აი, მათ შორის აღმოჩნდა პიროვნება, რომელიც იმ უჟმური ორგანიზაციის სტანდარტებში არ ჩაჯდა. ანზორ მაისურაძე მოვალეობას პირნათლად ასრულებდა და შენიშვნებისთვის საბაბს არავის აძლევდა, ამასთან ჰქონდა გამორჩეული იუმორის გრძნობა, უყვარდა ანეკდოტების მოყოლა, საქმიანობის პროცესში თამამად ნერგავდა ახალ იდეებს და შეხედულებებს, რაც მთავარია, გული მამულიშვილურად უძგერდა.

თვალსაჩინოებისთვის ის ფაქტიც გამოდგება, რომ იორდანიაში მივლინებით ყოფნისას, გულმოდგინე ძიების შედეგად შიჰანის უდაბნოში მიაკლია XI-XII საუკუნეების ქართული მონასტრის ნანგრევებს (ამ ძეგლის შესასწავლად მოგვიანებით იქ სპეციალურად ჩავიდა აკადემიკოსი ელენე მეტრეველი), ჰოდა, მოშურნენი არასოდეს აკლდა. რამდენჯერ უფრენიათ მავნე წერილი „ზევით“...

წიგნში წამოწეულია საქართველოს უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელთა უარყოფითი დამოკიდებულება როკის გვირაბის, კავკასიის ქედის გავლით რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობათა მიმართ „თვითმფრინავის ბიჭებთან“ დაკავშირებით, ნათქვამია, რომ როცა საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივნად ჯუმბერ პატიაშვილი აირჩიეს, საბჭოთა საქართველოში მისი ერთგული და საიმედო დასაყრდენი ალექსი ინაური იყო. თავის წიგნში „ოცდასამი წლის შემდეგ“ ბატონი ჯუმბერი ა.ინაურზე ამბობს: „ის მენტალიტეტით, პირველ რიგში, ქართველი იყო, წესიერი, პატიოსანი ადამიანი და ყველა იმ დადებით თვისებას ატარებდა, რაც ქართველ კაცს უნდა ჰქონდეს“.

სხვათა შორის, ა.ინაურს მიაჩნდა, რომ მაშინდელ ბევრ „თავისუფლებისთვის მებრძოლს“ იმდენად საქართველოს ბედი არ აწუხებდა, რამდენადაც – პირადი კეთილდღეობა. სამწუხაროდ, განვლილმა 25-წლიანმა პერიოდმა დაადასტურა ა.ინაურის ეს „ახირება“.

1991 წ.30 სექტემბერს ა.მაისურაძე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნა. შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე უშიშროების დეპარტამენტს ძირითადი – დაზვერვის და კონტრდაზვერვის ფუნქციები უკვე დაკარგული ჰქონდა. ამ უწყების წინაშე ერთადერთი მკვეთრად გამოხატული ამოცანა იდგა არსებული ხელისუფლების და მმართველი პოლიტიკური ძალის მოწინააღმდეგეთა ფარული კონტროლი, აგრეთვე უკიდურესად კრიტიკულად განწყობილი ოპონენტების მიზნების და მათ წინაშე მდგარი ამოცანების გამომჟღავნება. ფაქტობრივად, საქართველოს საიდუმლო სამსახური 1991 წლის შემოდგომიდან საკუთარ მოვალეობას ვეღარ ასრულებდა“. ზვიად გამსახურდია ა.მაისურაძეს დაჟინებით უბრძანებდა, იმ აგენტების სია გადმომეცი, ხელისუფლებაში და განსაკუთრებით ოპოზიციაში რომ იმყოფებიანო. ანზორი ყოველნაირად არიდებდა თავს ამ საჩოთირო დავალებას და ეს ბოლომდე მოახერხა კიდეც.

საიდუმლო სამსახური უფუნქციოდ იყო 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროსაც, 22 დეკემბერს თბილისის ცენტრში დაწყებულ სამომარ მოქმედებებში ნეიტრალურ პოზიციაზე დადგა.

იმის გამო, რომ სპეცსამსახური არ ჩაერთო ძმათამკვლელ ომში, სამხედრო საბჭომ 1992 წლის 5 იანვარს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა არა ჩეკისტთა წრიდან გამოსული ოფიცერი, არამედ პოლიციის გენერალი გივი კვანტალიანი – ამბოხებულთა აქტიური მხარდამჭერი.

ამან სამინისტროს პირადი შემადგენლობა აღაშფოთა. სასწრაფოდ შეიკრიბა სამინისტროს კოლეგია და შეადგინა მიმართვა სამხედრო საბჭოსადმი ა.მაისურაძის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის მოთხოვნით. მიმართვის ტექსტი იმდენად კატეგორიული იყო, რომ სამხედრო საბჭო იძულებული გახდა, გაეუქმებინა წინა ბრძანება და უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად ანზორ მაისურაძე დაენიშნა.

წიგნში სავსედ არის გადმოცემული სამოქალაქო ომის მოვლენები.

აქვე კეთდება მოულოდნელი დასკვნა, რომ ყველა იმ ინფორმაციის ანალიზი, რაც ოპერატიული დანაყოფების მუშაკებმა მოიძიეს, გვაკვალიანებს, რომ „მხედრიონის“ შექმნის იდეა ედუარდ შევარდნაძისგან მოდიოდა, „მხედრიონს“ ფარულად მხარს უჭერდა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ზოგიერთი მაღალი რანგის მოხელე.

საოცარია: თურმე უმაღლესი ეშელონების ზოგიერთი ჩინოვნიკის კაბინეტში ღებულობდნენ გადაწყვეტილებას და როდის ვისთვის, რომელი პარტიული თუ სამეურნეო მუშაკისთვის უნდა აეჭედათ კაბინეტის კარი ან მიეღოთ სხვა სახის ღონისძიება. ეს განკარგულება შემდეგ გადაეცემოდა შს მინისტრს, რომელიც თავის მხრივ მითითებებს აძლევდა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებსა და „მხედრიონის“ წევრებს და ისინი საკუთარი მომხრეების მეშვეობით აღასრულებდნენ ამ ნებას.

ერვნული მოძრაობის მიერ მოწყობილი ზოგიერთი მრავალათასიანი მიტინგიც თურმე ამ სქემით იმართებოდაა.

1992 წ.2 მაისს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო გაუქმდა და მის ბაზაზე შეიქმნა საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახური, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნა ყოფილი დისიდენტი ირაკლი ბათიაშვილი.

1993-1997 წ.წ. გენერალი მაისურაძე მოწყვეტილი იყო საქმეს, 1997-2004 წლებში ჯერ საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის მთავარი კონსულტანტი, ხოლო შემდეგ დეპარტამენტის დირექტორის თანაშემწე იყო.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ანზორ მაისურაძე მიიჩნევს, რომ მისი შესაძლებლობები ბოლომდე არ გამოყენებულა, რომ მას კიდევ შეუძლია ქვეყანას სამსახური გაუწიოს.

სანდრო ალექსიძე

◎ ალიან-ჩალიანი

გამოჩენილი ქართველი ავიაკონსტრუქტორის უკვდავსაყოფად

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივა, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტისთვის გამოჩენილი ქართველი ავიაკონსტრუქტორის, აშშ-ის ავიამშენებლობის ერთ-ერთი პიონერის ალექსანდრე ქართველის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, ბათუმის საკრებულომ დაამტკიცა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამ ინიციატივით რამდენიმე თვის წინ გამოვიდა. ბათუმის საკრებულომ მთავრობის მეთაურის ინიციატივა მოიწონა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს ალექსანდრე ქართველის სახელი მიენიჭება.

სამხედროთა დახმარება

ძართველმა და ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურეებმა გორის მე-4 საჯარო სკოლაში ინფრასტრუქტურულ პროექტზე მუშაობა დაასრულეს.

განახლებული სკოლის პრეზენტაციას საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა დოლიძე, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ნიკოლას ბერლინერი და სხვა საპატიო სტუმრები დაესწრნენ.

პროექტი აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ევროპული სარდლობის მიერ დაფინანსდა და აშშ-ის საელჩოს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურის მიერ განხორციელდა. „ჰუმანიტარული სამოქალაქო დახმარება“ საქართველოში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. სკოლის სარემონტო სამუშაოებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბისა და სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის ოფიცრები და საინჟინრო ბრიგადის 12 ინჟინერი მონაწილეობდა.

გორის მე-4 საჯარო სკოლაში განახლდა სპორტული დარბაზი, შეიღება დერეფნები, გაკეთდა პანდუსი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის, შემოიღობა სკოლის შიდა ეზო. ასევე, განხორციელდა სახურავის დაზიანებული ნაწილის რეაბილიტაცია, გაკეთდა სარინელი, გარე კარები, სარდაფში ჩასასვლელი კიბის მოაჯირი. დაგეგმილია ლიფტის მოწყობა, რითაც სკოლის ადაპტირება დასრულდება.

როგორი ამინდი იქნება ხვალ?

9 სექტემბრის ჩათვლით საქართველოში უნალექო, მზიანი ამინდია მოსალოდნელი. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსმა სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა, 2 სექტემბრიდან კი საქართველოში თანდათან უფრო დათბება და 9 სექტემბრის ჩათვლით მზიანი ამინდი იქნება. შესაძლოა, 5 სექტემბერს როგორც დასავლეთ საქართველოს ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში იყოს მცირე წვიმა და ელჭექი. დღეიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 30 გრადუსზე მეტი იქნება და შემდგომ დღეებში კიდევ მოიმატებს.

ინტერპრესი

◎ ატლანტიკური საბჭოს მკვლევარი

ამერიკის პოზიციები კავკასიაში - რუსეთის საპირწონე...

წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნა არის საშუალება, რათა გაამხნევონ საქართველო, რომ მან არ დაკარგოს რწმენა ნატოსთან მიმართებაში , — ამის შესახებ „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან ინტერვიუში ატლანტიკური საბჭოს მკვლევარმა ლორა ლინდერმანმა განაცხადა. მისი თქმით, ამავე დროს, ალიანსი ცდილობს, გაიმყაროს პოზიციები კავკასიაში რუსეთის საპირწონედ.

„ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი რეგიონისთვის უნიკალური ცენტრია. ის შეიქმნა, რათა მოკავშირეებს, საქართველოსა და სხვა პარტნიორებს შეიარაღებული ძალების თავსებადობის გაზრდაში დაეხმაროს. ცენტრი დაკავშირებულია ნატოს სამხედრო წვრთნებთან — Agile Spirit, რომელიც საქართველოში ახლახან გაიმართა და ბულგარეთიდან, საქართველოდან, სლოვენიიდან, რუმინეთიდან და ლატვიიდან 250 ჯარისკაცს მოუყარა თავი. ცენტრიც და ეს წვრთნებიც იმ გადაწყვეტილების შედეგია, რომელიც ნატომ უელსის სამიტზე მიიღო და საქართველოს არსებითი პაკეტი შესთავაზა. არსებითი პაკეტი რამდენიმე მიმართულებას მოიცავს. ნატოს გადაწყვეტილება, გახსნას წვრთნისა და შეფასების ცენტრი და ჩაატაროს წვრთნები, საქართველოსათვის უფრო მეტი მხარდაჭერის დემონსტრაციაა იმ დროს, როდესაც საქართველოს ჯერ კიდევ არ სთავაზობენ გაწევრიანების სამოქმედო გეგმას. ესაა აგრეთვე საშუალება, რათა გაამხნევონ საქართველო, რომ მან არ დაკარგოს რწმენა. ამავე დროს, ვფიქრობ, ალიანსი ცდილობს, გაიმყაროს პოზიციები კავკასიაში რუსეთის საპირწონედ“, — განაცხადა ლინდერმანმა.

„ამერიკის ხმა“ დაინტერესდა თუ როგორ აფასებს ლინდერმანი ამ ცენტრის გახსნით რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებს. ატლანტიკური საბჭოს მკვლევარის თქმით, საქართველო რუსეთთან მიმართებით უკიდურესად რთულ ვითარებაშია.

„ვხედავთ, რომ რუსეთმა აგრესია განაახლა და სამხრეთ ოსეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის საზღვარი გადმოსწია. ნათელია, რომ რუსეთს საქართველოსადმი დამოკიდებულება არ შეუცვლია. რუსეთი აგრძელებს იმ პოლიტიკას, რომელსაც 2008 წლამდე მიჰყვებოდა. საქართველოს რუსეთის შეჩერება არ შეუძლია. დასავლეთი კი, რუსეთის ქმედების მკაცრად დაგმობის გარდა, საქართველოს ვერაფერს სთავაზობს. ამ ვითარებაში, საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევები იგივეა და საერთო ჯამში, უარესდება კიდეც, რადგან არაფერი შეცვლილა. საქართველო რთულ ბრძოლაშია. საქართველოს მთავრობას ვურჩევდი, შეძლებისდაგვარად ფართოდ წარმოეჩინა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის სტრატეგიული მნიშვნელობა. საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგო-სატრანსპორტო დერეფნის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს დერეფანი კი ენერგო და სხვა რესურსების ტრანსპორტირებისათვის საჭირო ნავთობისა და გაზის სადენებს, პორტებს, რკინიგზასა და საავტომობილო გზებს მოიცავს. დერეფანს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და ხაზს უსვამს გლობალური ვაჭრობისა და ენერგორესურსებით ვაჭრობისათვის საქართველოს, როგორც თავისუფალი და იოლი (სავაჭრო) გზის მნიშვნელობას“, — განაცხადა ლინდერმანმა.

რაც შეეხება ვარშავის სამიტს, ლინდერმანი მიიჩნევს, რომ თუ როგორ უნდა წარმოაჩინოს თავი საქართველომ ვარშავის სამიტის წინ, მას ამის გაკეთება რამდენიმე გზით შეუძლია.

„ხელისუფლებამ უნდა გამოძებნოს კრეატიული გზები, რათა საქართველომ მიაღწიოს ნატოს წევრობას MAP-ით, ან MAP-ის გარეშე. MAP-ი მნიშვნელოვანი პროცესია, მაგრამ ის არაა ნატოში გაწევრების ერთადერთი გზა. დასაწყისისთვის, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მოითხოვოს ნატოსაგან, რომ ვარშავის სამიტზე ალიანსმა განაცხადოს შემდეგი: საქართველოს შეუძლია ნატოში გაწევრება MAP-ის გარეშე. ვარშავის სამიტი მნიშვნელოვანი სამიტია. საქართველო ერთ-ერთია იმ ასპირანტ ქვეყნებს შორის, რომლებიც გადაწყვეტილებებს ელიან. ვფიქრობ, ამიტომაა, რომ საქართველოს მთავრობა უფრო აგრესიულად მოითხოვს ალიანსისაგან საქართველოს წინსვლის აღიარებას. საუბარია მნიშვნელოვან წინსვლაზე პოლიტიკური და სამხედრო რეფორმების მიმართულებით. ვფიქრობ, საქართველომ ბევრი გააკეთა. მას მხოლოდ ნატოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებები აბრკოლებს. ეს გადაწყვეტილებები კი ნათელია, რომ მჭიდროდ უკავშირდება რუსეთის გარშემო არსებულ ვითარებას“, — განაცხადა ლინდერმანმა.

◎ წინადადება

ეკონომიკურ კავშირებზე საკუთარ ელჩებთან იმუშავეთ და არა სხვა ქვეყნების ელჩებთანო

საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტი იციკ მოშე საქართველოს მთავრობას წინადადებებით მიმართავს, პირველ ეტაპზე, ეკონომიკურ კავშირებზე იმუშაონ საკუთარ ელჩებთან და არა — სხვა ქვეყნების ელჩებთან. ამის შესახებ ნათქვამია იციკ მოშეს განცხადებაში.

იციკ მოშე ფიქრობს, რომ „საქართველოს ეკონომიკის გადარჩენის გასაღები ელჩების ხელშია“.

„საქართველოს ეკონომიკაში არსებული პრობლემების დროულად გადაჭრისა და ეროვნული ვალუტის—ლარის სიმყარის შენარჩუნების მიზნით, საჭიროა ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვესტიციის მოზიდვა. ამისთვის კი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესსექტორთან აქტიური მუშაობა და მათი დარწმუნება, რომ საქართველოში ამჟამად არსებობს ყველანაირი პირობა წარმატებული ბიზნესის წარმოებისთვის. ამ საქმეში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს განსაკუთრებულ როლს ვანიჭებ, რადგან მიმაჩნია, რომ სწორედ მათ შეუძლიათ, ყველაზე წარმატებულად აწარმოონ ეს კამპანია.

ამასთან დაკავშირებით, მივმართავ საქართველოს მთავრობას შემდეგი წინადადებებით: პირველ ეტაპზე, ეკონომიკურ კავშირებზე იმუშაონ საკუთარ ელჩებთან და არა სხვა ქვეყნების ელჩებთან.

თბილისში 2-4 სექტემბერს დაგეგმილ ამბასადორიალზე საზღვარგარეთ აკრედიტებულ საქართველოს ელჩებს დაევალოს ადგილსამყოფელ ქვეყანაში ბიზნესწრეებთან აქტიური მუშაობა და ყოველთვიურად თითო ინვესტორის მოზიდვა.

აქვე შევნიშნავ, რომ ინვესტიციების მოზიდვის საქმეში დიპლომატიური მისიის შესაძლებლობების თვალსაჩინო მაგალითი იყო საქართველოს საელჩოს აქტიური მონაწილეობა ისრაელში თბილისის მერის ვიზიტის ორგანიზებაში, რომელიც საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის ინიციატივით განხორციელდა და რომლის შედეგადაც ქვეყანა სულ მალე დამატებით რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ინვესტიციას მიიღებს. ვფიქრობ, სხვა ქვეყნებშიც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მსგავსი აქტიურობა საქართველოს ეკონომიკისთვის სერიოზული ბიძგის მიმცემი გახდება.

საჭიროდ მიმაჩნია, აგრეთვე, საქართველოში მოქმედი სავაჭრო პალატების მუშაობის ფორმატის შეცვლა; კერძოდ, მათზე გაცემული ლიცენზია უნდა მოიცავდეს წელიწადში ორჯერ საქართველოსა და მათ ქვეყანაში ბიზნესფორუმის ჩატარებას და ინვესტიციების მოზიდვას.

საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატა, თავის მხრივ, მზადაა საქართველოს მთავრობასთან აქტიურად ითანამშრომლოს ორივე წინადადების განხორციელებაში და მას გვერდში დაუდგეს მსოფლიოს სხვადასხვა დედაქალაქში ბიზნესფორუმის ორგანიზებასა და საჭირო კონტაქტების დამყარებაში“, — ნათქვამია იციკ მოშეს განცხადებაში.

დედამიწის ზურგზე

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაძვეყნა ჰილარი კლინტონის ელექტრონული მიმოწერის ათასობით გვერდი

საკითხი შეეხება ელექტრონული წერილების შვიდი ათასზე მეტ გვერდს, რომლებიც კერძო სერვერიდან სახელმწიფო დეპარტამენტში მისი მუშაობის პერიოდში გაიგზავნა. მოგვიანებით დაახლოებით 150 ცნობას მიენიჭა საიდუმლოების სტატუსი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კანზასის მცხოვრებს მიესაჯა 20 წელი. ის აპირებდა მოეწყო ტერორისტული აქტი აეროპორტში

2013 წელს ტერი ლოუენი აპირებდა ქალაქ უიჩიტოს აეროპორტის შეტევას ავტომანქანით, რომელიც, როგორც თავად ფიქრობდა, დანაღმული იყო, მაგრამ მის მანქანაში იყო მხოლოდ ასაფეთქებელი მოწყობილობის მულაჟი, რომელიც როუენს ფარულად გამოკვლევათა ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა გადასცეს. იგი აღიარეს დამნაშავედ ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობაში და „ალ-ყაიდასათვის“ ხელშეწყობაში.

დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებს შეუძლიათ, გამართონ რეფერენდუმი რუსეთის ფედერაციასთან მიერთების შესახებ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ

„როგორ შეიძლება იყვნენ ბებიის წინააღმდეგნი ისინი, ვისაც მოჰპარა პენსიები უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იაცენიუკმა, ანუ ბავშვები პერვომაისკში, რომლებიც დამბომბვის ხმაზე იღვიძებენ. მე მგონი ხალხი რეფერენდუმს მხარს დაუჭერს. თუ საჭირო იქნება, ჩვენ მას გავმართავთ“, — განაცხადა ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელმა იგორ პლოტნიცკიმ.

თურქეთის ხელმძღვანელობამ ბრალი დასდო დაკავებულ ჟურნალისტებს „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების მხარდაჭერაში

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ჯეიკ ჰანრაჰანი და ფილიპ პენდლბერი მიიყვანეს პოლიციაში სახელმწიფო აკრედიტაციის უქონლობის გამო. ბრიტანელები დააკავეს დიარბაკირის პროვინციაში, სადაც ისინი იღებდნენ სიუჟეტს თურქი ძალოვნებისა და ქურთისტანის მუშათა პარტიიდან სეპარატისტების დაპირისპირების შესახებ.

განცხადება

2015 წლის 22 ოქტომბერს, 13:00 საათზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის. № 109) ჩატარდება შპს „ბორანის“ კუთვნილი ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (გზშ ანგარიში) გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ.№7 და ასევე დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიის ნახვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ გვერდზე: www.moe.gov.ge

წერილობითი შენიშვნები და კომენტარები შეგიძლიათ მიაწოდოთ შპს „ბორანს“, 2015 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ.№7. საკონტაქტო პირი: მელანო უკლება, ტელ: 599 10 46 60

◎ ერთი დღე თბილისურ ოაზისში

„მიკროფონა“ და „ჯანმრთელად ყოფნა“ – ბაღის მშვენება

პატარებს დღეში აასობით ისეთი უცნაური, მაგრამ მათთვის საინტერესო კითხვის დასმა შეუძლიათ, რომლებზეც პასუხს ხანდახან მსოფლიოს ნებისმიერ სოლიდურ ენციკლოპედიებშიც ვერ იპოვით.

გაატარე მათთან ერთად რამდენიმე საათი და თუ სათანადო ნერვიც შეგრჩენია ამ დაძაბულ ცხოვრებაში, კაი ბიჭი ხარ და დააკმაყოფილე მათი ინტერესი.

მოკლედ, ისევ ჩემს, ამ ბოლო დროს შაბათ დღეს ამოჩემებულ ბოტანიკურ ბაღს (ასე ვეძახით თბილისელები, თორემ სრული სახელწოდება საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღია, თანაც სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება) ვეწვიე. მთავარი შესასვლელიდან მოკირწყლულ გზას თუ გაუყვებით ბაღის შუაგულისკენ, უფრო სწორად, გეზს თუ საყოველთაოდ ცნობილი ჩანჩქერისკენ აიღებთ, ხელმარცხნივ პაწაწკინტელა ყვავილნარს შეამჩნევთ.

კნიფოფია

სწორედ აქ მოვისმინე დედა-შვილის საუბარი და ეს მოგრძო შესავალიც, ხუთიოდე წლის ლოყებღაჟღაჟა, თმაკულულა ბიჭუნას ინტერესის გამო გამომივიდა.

– დე, რა ჰქვია ამ ყვავილს?
– ჩვენთან მიკროფონას ეძახიან!
– მიკროფონა რა არის?
– ხმის გამაძლიერებელი.
– ეს ყვავილი მღერის?
– არა...

და ა.შ. და ა.შ.

მოკლედ მეც ჩემს ბავშვობაში გადავედი. ჩვენთან იმერეთში, ყველა ოჯახში ნახავთ სტაფილოსფერ, მომსხო ყვავილედიან მაღალ მცენარეს, იმერეთში, სამეგრელოში, და მთელ დასავლეთ საქართველოშიც, მგონი, უმეტესობა „გრამაფონას“ ზოგიც კი „მიკროფონას“ ეძახის, ალბათ, იმიტომ, რომ ორმოცდაათიან წლებში გავრცელებულ მიკროფონს წააგავს. ჩემს ეზოშიც ხარობს და მეც ბავშვობიდან ასე ვეძახდი. ჰეკატეს ცნობილი კოლხური სამოთხის შვილობილი, რომ იყოს, ალბათ, ძველკოლხური სახელი ერქმეოდა, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში ასე დარჩა და არც არასდროს ჩავძიებივარ, რა ერქვა, ლათინურად, ანუ „ფლორის საერთაშორისო“ ენაზე.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის წამყვან სპეციალისტ ქალბატონებს, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს **ლიანა გვენცაძეს,** აგრარულ მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს **მარინე მუჩაიძესა** და აგრარული უნივერსიტეტის მაგისტრანტს **სოფიკო ჩიტაშვილს** თუ მიმართავთ, დაუზარებლად შეგიღებენ კარს იმ უცნაურ სამყაროში, რასაც ფლორის საოცრება ჰქვია. ისინი უვლიან, ამრავლებენ იმ უნიკალურ ჯიშებს, რომლითაც ამაყობს თბილისის ბოტანიკური ბაღი. ახლა მხოლოდ ამ ორ ულამაზეს ყვავილზე მოგითხრობთ, რომელთა წარმომავლობაშიც მათ დამაკვალიანეს.

ჩემთვის ბავშვობიდან ნაცნობი ყვავილი, რომლითაც იმ დღეს ლოყებღაჟღაჟა ბიჭუნაც მოიხიბლა და თავისი ათასგვარი კითხვებით დედიკო კინაღამ წონასწორობიდან გამოიყვანა და რომელსაც, რატომღაც „გრამაფონა-მიკროფონას“ ვეძახით **კნიფოფია** აღმოჩნდა. იგი დასავლეთ საქართველოში გვხვდება და არა მხოლოდ ერთი, არამედ ერთბაშად სამი სახეობაც. ასეთი თანამედროვე მეტსახელიც ალბათ იმიტომ უწოდეს, რომ მცენარეულ კულტურაში იგი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულიდანაა ცნობილი და დასავლეთ საქართველოშიც სწორედ მაშინ შემოვიდა. სახელწოდება კი XVIII საუკუნეში გერმანელი, საქვეყნოდ ცნობილი ბოტანიკოსის კნიფოფის საპატივცემულოდ ეწოდა, რომელმაც ტროპიკულ და სამხრეთ აფრიკაში, ასევე მადაგასკარზე მობინადრე ყვავილი სრულყოფილად შეისწავლა და მსოფლიოს გააცნო. ჩვენთან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სამი სახეობიდან ყველაზე მეტად კენკრანაყოფიანი კნიფოფიაა გავრცელებული (მას ლათინურად K.uvaria ჰქვია). იგი მრავალწლოვანი მცენარეა ძლიერი, მეტრანახევრამდე სიგრძის საყვავილე ღეროთი, ჩასაბერი ყვავილებით, რომლებიც 30 სმ. სიგრძის ხშირ თავთავისებრ ნარინჯისფერ-წითელ ყვავილედადაა ჩამოყალიბებული. კნიფოფია ივნის-ივლისში ყვავილობს, მისი თესლი აგვისტოში მწიფდება და აღმოცენების უნარს 2-3 წელი ინარჩუნებს. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად, ბოტანიკურ ბაღში სათბურებში მარტში გამოყავთ და ღია გრუნტში აპრილში გადააქვთ.

რაც შეეხება ყვავილნარში მეორე კაშკაშა წითელი ფერის ყვავილს, რომელიც კნიფოფოიასაგან შედარებით ძლიერი დატოტვილი ღეროთი და ფართო კვერცხისფერი ყვავილედით გამოირჩევა, მისი აღმატებულება **სალბი** გახლავთ. სალბი ამერიკაში, აზიასა და ევროპაშია გავრცელებული და 700-მდე სახეობას ითვლის. მისი სახელწოდება ლათინურად „salvus“, **„ჯანმრთელად ყოფნას“** ნიშნავს. არცაა გასაკვირი, რადგან მისი რამდენიმე სახეობა თურმე სამკურნალოდაც გამოიყენება. ჩვენთან სულ სალბის ცამეტი სახეობა ხარობს და ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია **„მბრწყინავი სალბი“** ანუ **„ბაღის მშვენება“.**

სალბი ივნისიდან ყინვის დადგომამდე ყვავილობს. მისი თესლი, როგორც კნიფოფიასი, აგვისტოდან მწიფდება და აღმოცენების უნარს ხუთი წელი ინარჩუნებს. სათბურებში თებერვლის ბოლოს გამოყავთ. მრავლდება თესლით და აღმოცენებას 6-12 დღეში იწყებს. გრუნტში მაისში რგავენ.

ინტერესი სრულად დამიკმაყოფილეს ჩვენმა მეცნიერებმა, რომლებიც თბილისის ამ ულამაზეს ბაღს პატრონობენ. შემდგომში მათი დახმარებით იმ უნიკალურ ჯიშის ხე-მცენარეებზე და თბილისში მათი განაშენიანების ისტორიაზეც მოგითხრობთ, რომლებიც აქ ხარობენ.

ავთანდილ ბეძაური

სალბი

◎ ინფორმაცია

ამერიკელმა ექსპერტებმა მეწყრისგან დაზიანებული მონაკვეთი მოინახულეს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა წყნეთი-სამადლოს გზის დამეწყრილი მონაკვეთი ამერიკის სატყეო სააგენტოს ექსპერტებთან და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

ამერიკის სატყეო სააგენტოს წარმომადგენლები საქართველოში ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID)ფინანსური მხარდაჭერითა და მოწვევით ჩამოვიდნენ, რათა ქართულ მხარეს 13 ივნისის სტიქიის შედეგების აღმოფხვრაში დაეხმარონ.

13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანდა და სრულიად გამოვიდა მწყობრიდან წყნეთი -სამადლოს გზის მონაკვეთი. მისი აღდგენის საკითხი მოითხოვს საფუძვლიან კვლევას. ამერიკელი ექსპერტები გზის აღნიშნულ მონაკვეთს, ასევე ვერეს ხეობასა და მეწყრისაგან დაზიანებულ სხვა მონაკვეთებს შეისწავლიან და ქართულ მხარეს გაუწევენ რეკომენდაციას, თუ რა სახით აღდგება დაზიანებული გზა და როგორ მოხდება ვერეს კალაპოტის დამბებში მოქცევა, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული მოსახლეობის უსაფრთხოება.

მხოლოდ სრულფასოვანი, საერთაშორისო ექსპერტების მიერ გაკეთებული დასკვნის საფუძველზე გახდება შესაძლებელი კონკრეტული პროექტის შემუშავება.

ბათუმი კიდევ უფრო კოხტავდება

ბათუმის მერიის ინფორმაციით, ამჟამად სამუშაოები ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე არსებულ გზაგამყოფ ზოლში ხორციელდება. დამცავი ღობე გრიბოედოვის ქუჩიდან ე.წ. ხოფის წრიულამდე მონაკვეთში გაკეთდება. სამონტაჟო სამუშაოები ივლისში დაიწყო და ოქტომბრისთვის უნდა დასრულდეს. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „იმედი 2012“ ასრულებს. ღირებულება — 108 ათასი ლარი.

გზაგამყოფ გაზონებში დეკორატიული დამცავი ღობეები უკვე დამონტაჟებულია ქალაქის 4 ცენტრალურ ქუჩაზე.

მონესრიგდება მიწისქვეშა გადასასვლელები

შპს „უძრავი ქონება-თბილისმა“ დედაქალაქის მასშტაბით არსებულ 25 მიწისქვეშა გადასასვლელში სარემონტო სამუშაოები დაიწყო.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა გადასასვლელების ტექნიკური დათვალიერება და აზომვა, რის შემდეგაც აღირიცხა გადასასვლელებში დაზიანებული პარაპეტები, კიბის საფეხურები, კედლები, ჭერი, ცხაურები, სანათები.

სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს და მათი დასრულების შემდეგ იგეგმება აღნიშნული მიწისქვეშა გადასასვლელების სრულად განათება. ასევე დაგეგმილია ყველა მიწისქვეშა გადასასვლელის აღჭურვა ჩასასვლელის მაჩვენებელი ფირნიშებით. მიწისქვეშა გადასასვლელებში არსებულ ვიდეოკამერებს გაუკეთდებათ ლითონის დამცავი ყუთები. შპს „უძრავი ქონება-თბილისი“ ბოდიშს უხდის ყველა მოქალაქეს მიწისქვეშა გადასასვლელებში შექმნილი შეფერხებისთვის.

ვაკის პარკის ახალი სიცოცხლე

თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური ვაკის პარკში სანიტარიულ-მოვლით ღონისძიებებს იწყებს.

შპს „ბიოაგროს“ მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის დასკვნის საფუძველზე, იჭრება 6 ძირი გამხმარი და ავარიული ხე. გარდა ამისა, შეიწამლება პარკის ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეები.

ფიტოსანიტარიული მონიტორინგი ვაკის პარკში არსებულ 430 ძირ მწვანე ნარგაობას ჩაუტარდა. შედეგად დადგინდა, რომ ხე-მცენარეებზე გავრცელებულია მავნებელ-დაავადებები, რომლებიც ხეების ნაწილობრივ ან სრულ დაზიანებას და ხმობას იწვევენ.

სწორედ მავნე ორგანიზმების შეზღუდვის მიზნით, შპს „ბიოაგროს“ რეკომენდაციის საფუძველზე, დღეს 6 ძირი გამხმარი ხე მოიჭრება.

ინტერპრესი

◎ გვიმრავლოს!

ფოთში სარაგბო ბაზა გაიხსნა

რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფოთში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა ოფიციალურად გახსნა 8 მარტის ქუჩაზე მდებარე სარაგბო ბაზა „პარკი-არენა“.

ღონისძიებას დაესწრნენ მინისტრის მოადგილე რევაზ ჯაველიძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჟარაძე, ფოთის მერი ირაკლი კაკულია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია და „ქართუ ჯგუფის“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ლილუაშვილი. რაგბის ბაზა ევროპული სტანდარტების გათვალისწინებით მოეწყო.

ბაზაზე განთავსებულია 2 სათამაშო მოედანი. ბუნებრივსაფარიანი სარბიელი 2 500 მაყურებელზეა გათვლილი, ხოლო მეორე, ხელოვნურსაფარიანი მოედანი 500 მაყურებელს იტევს.

კომპლექსი აღჭურვილია საკონფერენციო, სატრენაჟორო და მოსასვენებელი ოთახებით, VIP, პრეს და მატჩის კომისრის ლოუებით, ექიმისა და დოპინგ-კონტროლის კაბინეტებით.

„პარკი-არენას“ ტერიტორია მოიცავს 2 ჰექტარს.

ფოთის სარაგბო ბაზა „პარკი-არენა“ საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით ასოციაცია „ატუმ“ მოაწყო.

რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელდა არაერთი პროექტი:

თბილისში აშენდა სარაგბო ბაზა „ლელო არენა“,

ფოთში აშენდა სარაგბო ბაზა „პარკი-არენა“,

ქუთაისში აშენდა სარაგბო ბაზა „აია არენა“, მიმდინარეობს სასტუმროს მშენებლობა

თბილისში აშენდა „შევარდენის“ სანაკრებო ბაზა,

მოეწყო ავჭალის რაგბის სტადიონი,

ვარკეთილის სარაგბო სკოლაში მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მოედანი,

აშენდა რუსთავის სარაგბო ბაზა,

აშენდა მარტყოფის სარაგბო ბაზა, მიმდინარეობს სასტუმროს მშენებლობა,

თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე დაიწყო სარაგბო ბაზის მშენებლობა,

დასასრულს უახლოვდება გორის სარაგბო ბაზის მშენებლობა,

მომავალ წელს დასრულდება ბათუმის სარაგბო ბაზა,

თელავში დაიწყო ორმოედნიანი კომპლექსის მშენებლობა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

იგორ კოკოშკოვმა ევროპის ჩემპიონატისთვის 12 მოთამაშე დაასახელა

საძართველოს ეროვნული ნაკრების შეკრებაზე 12 კალათბურთელი დარჩა. იტალიის ქალაქ ტრიესტში ჩატარებული ტურნირის შემდეგ იგორ კოკოშკოვმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც საქართველოს ევროპის ჩემპიონატზე წარადგენს.

ესენი არიან: **გიორგი ცინცაძე, ჯეიკობ პულენი, მანუჩარ მარკოიშვილი, ბესო ლეჟავა, დუდა სანაძე, ლევან ფაცაცია, ვიქტორ სანიკიძე, თორნიკე შენგელია, ნიკა მეტრეველი, ბექა ბურჯანაძე, ზაზა ფაჩულია და გიორგი შერმადინი.** შესაბამისად, ნაკრები დატოვეს გამთამაშებელმა ოთარ ფხაკაძემ და ცენტრმა გიორგი შარაბიძემ.

31 აგვისტოს ნაკრებს დასვენების დღე ჰქონდა, ხოლო გუშინ დილას და საღამოს ივარჯიშა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სუმო

ტოჩინოშინის კომუსუბის წოდება მიეკუთვნა!

იაპონიის სუმოს ასოციაციამ განახლებული რეიტინგი, იგივე ბანძუკე გამოაქვეყნა, რომლის თანახმად ტოჩინოშინის შიკონათი ცნობილ ქართველ სეკიტორ ლევან გორგაძეს კომუსუბის წოდება მიეკუთვნა.

შეგახსენებთ, რომ ივლისში ნაგოიაში გამართულ ბაშოზე აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირას წოდებით მოასპარეზე ტოჩინოშინმა 8 მოგება და 7 მარცხი მოაგროვა, რაც სანიაკუში (პირობითი კატეგორია, რომელშიც 4 უმაღლესი წოდების — იოკოძუნა, ოძეკი, სეკივაკე, კომუსუბი — მქონე სუმოისტები არიან გაერთიანებულნი) აღსაზევებლად საკმარისი აღმოჩნდა.

როგორც მოსალოდნელი გახლდათ, უკუსვლა შეეხო თეიმურაზ ჯუღელს, რომელიც გაგამარუს შიკონათი ასპარეზობს. ქართველმა გოლიათმა ნაგოიაში 9 მარცხის წილ მხოლოდ 6 გამარჯვება იზეიმა და დასავლეთის მე-6 მაეგაშირას წოდება აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირეობაზე გაცვალა.

23 წლის მონღოლმა ტერუნოფუჯიმ პირველად კარიერაში იოკოძუნებთან ყველაზე ახლოს მდგარი აღმოსავლეთის ოძეკის ტიტული მიიღო, საიდანაც იაპონელი კისენოსატო ჩამოაქვეითა.

ოძეკის წოდებით იასპარეზებენ გოეიდო და კოტოშოგიკუც, იოკოძუნების ტიტულს კი კვლავაც ჰაკუჰო, კაკურიუ და ჰარუმაფუჯი ფლობენ.

შეგახსენებთ, რომ მომდევნო აკი ბაშოს 13-27 სექტემბერს ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანი“ უმასპინძლებს.

ბეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

„რეალი“ — „თავისი“ ფეხბურთელების გარეშე

პრიმერა დივიზიონის განვლილ ტურში მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა სასტარტო შემადგენლობაში ერთადერთი ესპანელი სერხიო რამოსი დააყენა. ამასთან, ეს უკანასკნელი „ბლანკოსის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილი არაა და მადრიდელთა უკანასკნელი 2688 მატჩის და 50 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ სანტიაგო ბერნაბეელთა შორის „რეალში“ დაფრთიანებულმა არცერთმა ფეხბურთელმა არ იასპარეზა.

ანდალუზიის „ბეტისის“ წინააღმდეგ ჩასატარებელი შეხვედრის განაცხადში ბენიტესმა მადრიდელთა კლუბის აღზრდილები დანი კარვახალი, კიკო კასილია და ხესე კი შეიყვანა, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენამდე ამ ტრიოდან მინდორზე არავინ გაუყვანია.

გიორგი შოთაძე

◎ ჩოგბურთი

ბაბიშვილმა მსოფლიოს მერვე ჩოგანი გაანადგურა

აშშ-ს სახელით მოასპარეზე ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა (121-ე რეიტინგში) ამერიკის ლია პირველობის ძირითადი ბადის პირველ წრეში მსოფლიოს მერვე ჩოგბურთელი, ჩეხი კაროლინა პლიშკოვა 6:2, 6:1 გაანადგურა.

შეხვედრამ 53 წუთს გასტანა. ტატიშვილმა 2 ეისი ჩააწოდა და ერთი ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო ჩეხს 4 ეისი და 3 ორმაგი შეცდომა ჰქონდა. ანამ ბურთის პირველ მოწოდებაზე 70% (23 33-დან) მოიგო, მეორეზე კი 50% (6 12-დან). ტატიშვილმა 9 შესაძლებლიდან 5 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, თვითონ კი მხოლოდ ერთხელ დაბრეიკდა. ანამ მატჩში 54 ქულა მოიგო, ხოლო პლიშკოვამ — 33.

ტატიშვილმა თავისი კარიერის მანძილზე პირველად შეძლო ათეულის ჩოგბურთელის დამარცხება. ამ სენსაციური გამარჯვების შემდეგ საქართველოს ყოფილი პირველი ჩოგანი ამერიკელ მედისონ ბრენგლეს შეხვდება.

რაც შეეხება ნიკოლოზ ბასილაშვილს, იგი ესპანელ ფელისიანო ლოპესთან დამარცხდა, რომელსაც ამას წინათ სენსაციურად სძლია.

კოგა კოგახიძე

◎ ინტერნეტიდან

სწავლობს ანა ჭიჭინა...

პოპულარული და აშოლტილი სერბი მეჩოგნე ქალი ანა ივანოვიჩი დიდი ხანია მიხვდა იმ ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ ჩოგნის მარჯვე ქნევით მოპოვებული პოპულარობა არ კმარა და ხანდახან არც წიგნების კითხვაა ურიგო. თუმცა, მისი დაძაბული სპორტული ცხოვრება ივანოვიჩს სერიოზული განათლების მისაღებად ნაკლებ შანსს აძლევდა.

ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ანა ივანოვიჩმა სულ ახლახანს გადაწყვიტა, რომ დიპლომირებული იურისტი გახდეს და ლონდონის ერთ-ერთ კერძო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სერბი მეჩოგნის აზრით, იურისტობა სწორედ ის ხელობაა, რაც ნებისმიერ ადამიანს ყოველთვის გამოადგება.

როგორც "მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" გმირი ოლღა ბებია ირწმუნება, იურისტობა მართლაც რომ სასურველი საქმეა, რადგან ცალ-ცალი კალოშით მისული მავანი მოხელე მერე რეზინის ჩექმებში გამოეწყო. შეიძლება ანა ივანოვიჩს ოლღა ბებიაზე არაფერი სმენია, მაგრამ ოლღასავით ჭკვიანი ქალი რომაა — ფაქტია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კრიმინალური ქრონიკა

სუიციდი „ნორიოს“ საწვრთნელ ბაზაზე

„ნორიოს“ საწვრთნელი ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ჯარისკაცი გარდაცვლილი იპოვეს. როგორც თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, გუშინ 06:50 საათზე, „ნორიოს“ საწვრთნელი ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე სუიციდის ფაქტი მოხდა.

„წინასწარი ინფორმაციით, I მსუბუქი ქვეითი ბრიგადის რიგითმა ტ.ფ.-მ საშტატო იარაღიდან გასროლით, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილია წერილი.

გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 115-ე მუხლით. საქმეს მთავარი პროკურატურა იძიებს. თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილი ჯარისკაცის ოჯახს“.

ტრაგედია მუხიანში

მუხიანში ავტოავარია ორშაბათ საღამოს მოხდა. დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომობილი ერთ-ერთი კორპუსის ეზოში შევარდა და იქ მყოფებს დაეჯახა. შემთხვევის შედეგად ხუთი ადამიანი დაშავდა. მუხიანში მომხდარი ავარიის დროს დაშავებული 10 წლის ბავშვი იაშვილის კლინიკაში გარდაიცვალა.

ავარიის შედეგად გაზის მილი დაზიანდა, რის გამოც რამდენიმე კორპუსს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. მუხიანში მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით შსს-მ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით აღძრა.

სამი უცხოელი საქართველოდან გააძევეს

2015 წლის 1 ივლისიდან, კანონის სრული ამოქმედების შემდგომ, შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტმა, განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, გამოავლინა სხვადასხვა ქვეყნის 3 მოქალაქე: უზბეკეთის მოქალაქე ე.ტ. (დაბ.16.12.1971 წელი), ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ჰ.დ.ქ. (დაბ.26.02.1966 წელი) და ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე ო.ჯ.ჯ. (დაბ.02.10.1988 წელი), რომლებიც საქართველოში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე იმყოფებოდნენ.

უწყების ინფორმაციით, შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გადაწყვეტილება მიიღო უზბეკეთის მოქალაქე ე.ტ-ს საქართველოდან უზბეკეთის რესპუბლიკაში გაძევების თაობაზე. მას ქვეყნის ნებაყოფლობითი დატოვებისთვის 20-დღიანი ვადა მიეცა. ე.ტ-მ არ გამოიყენა აღნიშნული უფლება, რის გამოც შსს-ს მიგრაციის დეპარტამენტმა მისი უზბეკეთის რესპუბლიკაში გაძევების პროცედურა იძულებით აღასრულა. აღნიშნულ პირს საქართველოში შემოსვლა 5 წლის ვადით აეკრძალა.

ძებნილი ბულგარეთში დააკავეს

სოფიის ინტერპოლის ბიუროს თანამშრომლებმა, თბილისის ინტერპოლის ბიუროსთან თანამშრომლობით, 2009 წლიდან იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საჩხერის რაიონული სამმართველოს მიერ მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი, საქართველოს მოქალაქე, 1971 წელს დაბადებული ზაზა ბ. ბულგარეთის რესპუბლიკაში, ქალაქ სილისტრაში დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, ზაზა ბ-მ 2009 წლის 27 სექტემბერს, ეჭვიანობის ნიადაგზე, შურისძიების მიზნით, მოქალაქეს საკუთარ საცხოვრებელ სახლში ცივი იარაღით სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თანამშრომელი

გივი აქუბარდია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
29 3-37-87
მაჩაბლის ქ.
№7.

◎ სწორი კვება

გემრიელი მკურნალი...

თაფლის მარგებლობის თაობაზე ყველას გვსმენია, იგი, ფაქტობრივად, ყველა სასარგებლო ბიოლოგიურ ნივთიერებას შეიცავს, მისი სამკურნალო თვისებები კი მრავალრიცხოვანი კვლევებით არაერთგზისაა დადასტურებული.

— ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ სამკურნალო ძალა მხოლოდ ნატურალურ, ხარისხიან თაფლს აქვს, — ამბობს ფიტოქიმიის სპეციალისტი **იგორ სოკოლსკი.** — „არასწორი თაფლი“, უკეთეს შემთხვევაში, არანაირი სარგებლის მომტანი არ არის, უარესში კი — სახიფათოა. თანაც, თაფლის ყიდვის დროს, გაყალბებული სურათის შეძენის საფრთხე საკმაოდ მაღალია.

სტატისტიკური მონაცემებით, თაფლი, მასზე დიდი მოთხოვნისა და მაღალი ფასის გამო, ის პროდუქტია, რომელსაც ისევე ხშირად აყალბებენ, როგორც ღვინოს. ჯერ კიდევ ძველ დროს არახარისხიანი თაფლით მოვაჭრეებს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, მკაცრად სჯიდნენ. საექსპერტო შეფასებებით კი, ამჟამად გაყიდვაში არსებული თაფლის ერთი მესამედი მაინც გაყალბებულია.

შაქრის თაფლი

ესაა ბუნებრივი პროდუქტი, მას ფუტკრები აკეთებენ, თუმცა კი მასში ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შემცველობა მეტად უმნიშვნელოა.

როგორ მზადდება თაფლი: ფუტკრებს შაქრის სიროფს აჭმევენ, რის შედეგად მათი წარმადობა მკვეთრად მატულობს, თაფლის ხარისხი კი ასევე მკვეთრად კლებულობს.

როგორ შეიძლება მისი გამოცნობა: ხარისხიანი თაფლის ნიშანია სწრაფი კრისტალიზაცია , რაც სითხის დაკარგვით აიხსნება. თუკი თქვენს წინაშეა სრულიად გამჭირვალე თაფლი, ის ან სითბურად დამუშავდა (რის შედეგად იგი სასარგებლო თვისებებსაც და კრისტალიზაციის უნარსაც ერთიანად კარგავს), ანდა გაყალბებულია.

ხელოვნური თაფლი

არც შესახედად, არც გემოთი იგი ნამდვილი თაფლისგან არ განსხვავდება. ამასთან, მას ნატურალური თაფლის სამკურნალო თვისებები არა აქვს.

როგორ მზადდება თაფლი: ყველაზე ხშირია გაყალბებული ჩინური თაფლი — ცისქვეშეთის თაფლს კარამელის გემო, „შაქარყინულის“ არომატი აქვს, სამაგიეროდ ყვავილების გემო აკლია.

ხელოვნურ თაფლს ხშირად ბოსტნეულისა და ხილისგან ამზადებენ და ბაზრობებზე ყიდიან. მართალია, ასეთ თაფლს ხშირად აწერია, რომ ის ხელოვნურია, მაგრამ ისეთი წვრილი შრიფტით, რომ წაკითხვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

როგორ შეიძლება მისი გამოცნობა: პირველი განმასხვავებელი ნიშანია დაბალი ფასი, რომელიც თაფლის საშუალო ფასზე 1,5-2-ჯერ უფრო მცირეა. მაღაზიაში თაფლის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ მის შემადგენლობას — ხელოვნურ თაფლში პირველ რიგში მოცემულია შაქრის შემცველობა. ბაზარში კი თაფლი ჯერ დაყნოსეთ: ხელოვნურ თაფლს ძლიერი „თაფლური“ არომატი არა აქვს (თუმცა კი, ზოგჯერ, მუშტრის მოსატყუებლად, მას თაფლის სინთეტიკურ ესენციას უმატებენ). ასეთი თაფლი არასდროს არ კრისტალდება.

ზხამიანი თაფლი

ესაა ნატურალური პროდუქტი, რომელიც სამხედრო პოლიგონების, აეროპორტების, დიდი გზატკეცილების, თბოელექტროსადგურების, რადიაციული დაბინძურების, ქიმიური დამუშავების შემდეგ მინდვრებსა და მათ მახლობლადაა აღებული. მომწამლავი ნივთიერებები თაფლში კონცენტრირდება და ასეთი თაფლის მიღების შემდეგ კაცს შეიძლება გული წაუვიდეს, თავბრუსხვევა, გულისრევა დაეწყოს. საბედნიეროდ, ზხამიანი თაფლი ხშირად არ ვგხვდება, რადგან ასეთ რაიონებში ფუტკრები ხშირად ავადდებიან და იღუპებიან.

როგორ შეიძლება მისი გამოცნობა: თავისით ამის გაკეთებას ვერ შეძლებთ.

მოუწეველი თაფლი

ესაა ბუნებრივი პროდუქტი, მაგრამ მისი უარყოფითი მხარეა ტენის ჭარბი შემცველობა და, როგორც წესი, შენახვის მოკლე ვადა.

როგორ მზადდება თაფლი: თაფლს სკებიდან დროზე ადრე იღებენ, მანამდე ვიდრე ის თავის ნორმალურ სარგებლის მომტან მდგომარეობამდე მოიწეოდეს. მოუმწიფებელი თაფლი ყველაზე უწყინარია. მართალია, მასში ყველა სასარგებლო ნივთიერება უკვე არის, მაგრამ ერთ-ორ თვეში იგი აქაფებას, დადუღებასა და დამჟავებას იწყებს.

როგორ შეიძლება მისი გამოცნობა: მოუწეველ თაფლში ბევრი წყალია, ამიტომაც ის თხევადია. ასეთი თაფლი აქაფებასა და დადუღებას ჯერ კიდევ გადატანისას იწყებს — მასში ბუშტულაკები ჩნდება, არევისას კი ქაფი წარმოიქმნება.

რომელი თაფლია უფრო მარგებელი?

ბევრს სხვადასხვა მცენარის თაფლი უყვარს, ისინი ხარისხითაც განსხვავდებიან, ზოგიერთი მათგანი (ვთქვათ წიწიბურის, ფიჭვის, კედარის) სხვებზე გაცილებით ძვირი ღირს.

სპეციალისტები აცხადებენ, რომ წიწიბურას თაფლი, სხვა მცენარეებისაზე მეტ მიკროელემენტს შეიცავს, წაბლის თაფლი კი თავისი ანტიბაქტერიული თვისებებითაა ცნობილი. ჩვეულებრივ, „ღია ფერის“ თაფლი (ცაცხვის, აკაციის) „შავზე“ უფრო ძვირი ღირს (ზოგიერთი ჯიშის გამოკლებით), იშვიათი ჯიშები კი — ბალახეულ თაფლზე უფრო ძვირია.

თუმცა ისიცაა, რომ თაფლის შერჩევა პირადი გემოვნების საკითხია. ყველა სახეობის ხარისხიანი თაფლი შემადგენლობით ერთნაირია და მხოლოდ გემოთი განსხვავდება, რასაც მცენარეული მტვერი განაპირობებს. მაგრამ მისი შემცველობა თაფლში იმდენად მცირეა, რომ ამა თუ იმ ჯიშის თაფლის სამკურნალო თვისებებში არსებით განსხვავებებზე ლაპარაკიც არ არის.

როგორ გამოვიცნოთ გაყალბებული თაფლი

- **ერთი ჩაის კოვზი შაქარი ოთახის ტემპერატურის წყალში გახსენით. თუკი ნალექი წარმოიშვა, მაშასადამე, თაფლს მინარევები აქვს. კერძოდ, ამ დროს, თაფლში ფქვილის არსებობას ადგენენ.**
- **კოვზ თაფლს ერთი წვეთი იოდი დაასხით. თუკი თაფლი გალურჯდა, მაშასადამე ის სახამებლითაა გაჯერებული, რასაც გასქელებისთვის უმატებენ.**
- **წვეთი თაფლი ქაღალდის ფურცელს წაუსვით, თუკი თაფლი მოწეული არ არის, ქაღალდი მალევე დასველდება.**
- **წვეთ თაფლში ქიმიურ ფანქრის წვერი დაასველეთ. თუკი ის წერას ლურჯად დაიწყებს, მაშასადამე თაფლს გარეშე მინარევები აქვს.**
- **თაფლში კოვზი ჩაყავით და დააკვირდით, როგორ ჩამოედინება ის. გაზავებული თაფლი წვრილ ჭავლად ჩამოდის, ნატურალური — ტალღებად.**

სად უმჯობესია თაფლის შეძენა — მაღაზიაში თუ ბაზარში?

ამის ცალსახა პასუხი არ არსებობს, თვალის ერთი გადავლებით, მაღაზიის საქონელს თითქოს ხარისხის სერტიფიკატი უნდა ჰქონდეს. არადა, თხევად თაფლს მაღაზიაში გაზაფხულზეც კი ნახავთ. ბუნებრივი თაფლი ღალიდან 3-6 თვეში იწყებს დაკრისტალებას, ამდენად, თუკი ის გაზაფხულამდე თხევადი დარჩა, მაშასადამე თერმული დამუშავება აქვს გავლილი და წყლით ან სიროფით იყო გაზავებული. ამდენად, **უმჯობესია თაფლი სპეციალურ თაფლის ბაზრობებზე იყიდოთ, სადაც პროდუქციის მკაცრი კონტროლია.**

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ კოსმოსური ოდისეა

ცხოველები ორბიტაზე

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, უფრო სწორად კი 1960 წლის 19 აგვისტოს, საბჭოთა კავშირმა კოსმოსში ორი ძაღლი — ბელკა და სტრელკა გაუშვა. კოსმოსში პირველი მოგზაური ცხოველები დედამიწაზე უვნებლად დაბრუნდნენ.

ძაღლები თორმეტი პრეტენდენტიდან შეარჩიეს: წონა — 6 კილოგრამამდე, ასაკი — არაუმეტეს 6 წლის, შეარჩიეს მხოლოდ „გოგოები“, რადგან მათთვის „კოსმოსური საპირფარეშოს“ მოწყობა უფრო ადვილი იყო, თანაც ძუებს ხასიათიც უფრო მშვიდი აქვთ. ყველაფერთან ერთად, ისინი „ფოტოგენურებიც“ უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მათი სურათები აუცილებლად ჟურნალ-გაზეთების გარეკანებზე დაიბეჭდებოდა.

— იმ ხანებში ბევრი კამათი იყო იმის თაობაზე, თუ რომელი ცხოველები გაეშვათ პირველ კოსმოსურ ფრენაში, — ამბობს სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი **ალექსანდრე სერიაპინი,** რომლის ხელში ყველა საბჭოთა „ოთხფეხა კოსმონავტმა“ გაიარა. — ამერიკელები ამ მიზნით შიმპანზეებს ცდიდნენ, მაიმუნები სოხუმის ინსტიტუტიდან ჩვენც გვყავდა, მაგრამ ეს ცხოველები ზედმეტად მოუსვენრები არიან, ამიტომაც მათზე უარი ვთქვით. ძაღლებს კი ერთსა და იმავე პოზაში ყოფნა მთელ დღეღამის მანძილზეც კი შეუძლიათ.

ბელკა და სტრელკა ლეგენდარულ ძაღლებად იქცნენ, მათ შესახებ ახლა კინოსაც იღებენ, თუმცა კი ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, რომ თავდაპირველად ამ უჯიშო ძაღლებს სხვა თიკუნები ჰქონდათ. საავიაციო და კოსმოსური მედიცინის ინსტიტუტში ბელკას ალბინა, სტრელკას კი მარკიზა ერქვა. მაგრამ, როცა ძაღლები კოსმოსიდან დაბრუნდნენ, სარაკეტო ჯარების მთავარსარდალმა ნედელინმა მათთვის სასწრაფოდ სახელების გადარქმევა მოითხოვა: „როგორ შეიძლება საბჭოთა ძაღლებს ასეთი უცნაური თიკუნები ჰქონდეთ?“ ასე რომ, მათი ნათლიაც ის გახდა. სიცოცხლის ბოლომდე ორივე ძაღლი დიდ პატივში იყო, ისინი გამოფენებზე, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში დაჰყავდათ. ორბიტიდან დაბრუნებიდან რამდენიმე თვეში სტრელკამ ექვსი ჯანმრთელი ლეკვი დაყარა, რამაც მეცნიერები დიდად გაახარა, რადგან **ეს იმას ნიშნავდა, რომ კოსმოსიდან დაბრუნების შემდეგ ორგანიზმს გამრავლება კვლავაც შეეძლო.** ერთ-ერთი ლეკვი — ძუ პუშინკა — ნიკიტა ხრუშჩოვმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯონ კენედის ნიშნის მოგებით აჩუქა — აი, რა მაგრები ვართო!

— ცხოველებზე ექსპერიმენტებს რამდენიმე მიზანი ჰქონდა, — იხსენებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **იგორ ბალახოვსკი.** — გასარკვევი იყო სამედიცინო ხასიათის მრავალი საკითხი: მაგალითად, **როგორი იქნება ორგანიზმის ვესტიბულარული აპარატისა და სისხლძარღვთა სისტემის რეაგირება უწონადობაზე? როგორ განხორციელდება ორგანიზმის თერმორეგულაცია? ხომ არ დაზიანდება ნერვული სისტემა?** ჰოდა, ძაღლები კი ძალიან გვეცოდებოდა, მაგრამ ცდები, აბა, ვისზე უნდა ჩაგვეტარებინა? კისერზე ეგრეთ წოდებულ „ნაგლეჯს“ ვუკეთებდით — საძილე არტერია გარეთ გამოგვქონდა, მასზე გადამცემს ვაყენებდით. ბევრი ძაღლი იღუპებოდა ბაროკამერებში, ცენტრიფუგებში და ა. შ. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ინსტიტუტების თანამშრომლებს ცდების შემდეგ ძაღლები შინ მიყავდათ — ბევრს მერე მუდმივი მოვლა სჭირდებოდა.

არ იქნება გადაჭარბებული იმის თქმა, რომ იური გაგარინს კოსმოსში გზა ბელკამ და სტრელკამ (ასევე კიდევ რამდენიმე ათეულმა სხვა უჯიშო ძაღლმა) გაუხსნეს. მაგრამ, ძაღლების გარდა კოსმოსურ ორბიტაზე სხვადასხვა დროს იყვნენ მაიმუნებიც, კატებიც, ვირთაგვებიც, ზღვის გოჭებიც, ბაყაყებიც, ტრიტონებიც, თევზებიც, ბევრი სხვა ცხოველიც. **კოსმოსში დაბადებული პირველი ცოცხალი არსება კი მწყრის ბარტყი იყო** 1990 წელს სადგურ „მირში“ 48 მწყერის კვერცხიანი კონტეინერი გაგზავნეს — ეკიპაჟი უნდა დაკვირვებოდა, როგორ შეძლებდნენ ბარტყები გამოჩეკვასა და ზრდას. სამწუხაროდ, უწონადობასთან შეგუება თითქმის ვერავინ შეძლო, მხოლოდ სამი ბარტყი გადარჩა.

— თუკი პირველ ეტაპზე მთავარი იყო იმის გაგება, თუ როგორ შეძლებს ორგანიზმი უწონადობასთან შეგუებას, ახლა ამოცანები შეიცვალა, — ამბობს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი **ვლადიმერ სიჩოვი.** — ადამიანები შორეულ კოსმოსში გამგზავრებას, თავდაპირველად მარსზე, შემდგომ, ალბათ, სხვა პლანეტებზე გეგმავენ. ამ ფრენების დროს მათ მოუწევთ მცენარეებისა და ცხოველების გაზრდა, რათა საკვები ჰქონდეთ. საამისოდ კი საჭიროა იმის დადგენა, რომელი მათგანი შეძლებს უწინადობის პირობებში ნორმალურ განვითარებას, რომელი კი არა. უკვე გარკვეულია, **რომ ფსონი თევზების მოშენებაზე უნდა გაკეთდეს, რომლებსაც ხმელეთის ცხოველებისგან განსხვავებით, შეუძლიათ ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის გადატანა და გამრავლების უნარის შენარჩუნება.**

ყველაზე უკეთ კი, მეცნიერთა დაკვირვებით, უწონადობაში ბუზები დროზოფილები გრძნობენ თავს — ისინი ორ-სამ წყება შთამომავლობას იძლევიან. ტყუილად როდი ამბობენ, რომ მწერები — ეს მომავლის საკვებია...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ კადრი

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ჩემო საყვარელო, ხომ არასდროს არ მიმატოვებ? — თვალების ნაბვით ეკითხება ცოლი ქმარს.

— რას ამბობ! შენისთანა ქალებს კაცები არ ტოვებენ, — ზანტად პასუხობს ქმარი, მერე ცოტა ხნის დაყოვნების შემდეგ ამატებს: — შენნაირებს ყელს ჭრიან და ღამე ბალიშით გუდავენ!!

* * *

რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ცოლიანი კაცი და ბერბიჭა?

ბერბიჭა სახლის საქმეს თავისით აკეთებს, დაოჯახებულს კი ცოლი აკეთებინებს.

* * *

საბავშვო ბაღში ახალი ვარდისფერი კაბითა და ლამაზი თეთრი ფეხსაცმლით მისულმა გოგონამ მასწავლებლის კითხვაზე: „ვინ გიყიდა ზიზიები, ნინიკო?“, ამაყად უპასუხა:

— მე თვითონ მოვიტირილე!

* * *

— **მაინც** რა ყოჩაღია ის მამაკაცი, ვინც ტელეფონი გამოიგონა!

— რა იცი, რომ ის მამაკაცმა გამოიგონა, იქნებ ეს ქალი იყო, საათობით ხომ სწორედ ისინი ჭორაობენ ტელეფონით?!

— ჰოდა, სწორედ ამ რამდენიმე საათის დასვენების გამო გამოიგონა კაცმა ეს დალოცვილი მოწყობილობა!

* * *

— **ღმერთო,** რამდენი ადამიანი დაიღუპა ჩვენში სმის გამო...

— და იმას რატომ არ ითვლი, რამდენი დაიბადა?!.

* * *

— **რა** არის, იცი, ძამიკო? მინდა ისეთ რეალითი-შოუში მივიღო მონაწილეობა, სადაც დეპუტატები და მინისტრები თავისი ფეხით ბაზარში დადიან, ნაქირავებში ცხოვრობენ, სადაც ჭერიდან წყალი ჩამოდის, დენს წამდაუწუმ უთიშავენ და პენსიით აცხოვრებენ!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე